საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკადრისიბაგზე ეხაძაგლესია.

ოთხშაბათი, 7 დეკემბერი. 2022 წ. №183 (9521) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ღმერთო, შენ გაუნათე გონება საქართველოს „დაუძინებელ მეგობრებს“!

„ხალხის ძალა“: საქართველოს „დაუძინებელი მეგობრები“ საზოგადოებას დემოკრატიულ უკუსვლაზე საუბრით კიდევ დიდხანს შეაწუხებენ, მთავარია, საზოგადოება ამგვარი რიტორიკით არ გადაიღალოს და შეცდომა არ დაუშვას

მხოლოდ სიმართლით აღჭურვილი ხალხის ძალას შეუძლია საქართველოს თავიდან აიცილოს აგენტოკრატიის დაბრუნება, რაც ძვეყანაში მშვიდობისა და დემოკრატიული წინსვლის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა, — ამის შესახებ აღნიშნულია საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ გუშინდელ განცხადებაში.

2012 წელს ქართული დემოკრატიის 9-წლიანი უკუსვლა დემოკრატიის შეუქცევადმა წინსვლამ ჩაანაცვლა. თუმცა, საქართველოს „დაუძინებელი მეგობრების“ გადმოსახედიდან, ყველაფერი უკულმა მოჩანს. მათი ე.წ. აღქმების მიხედვით, „ნაცმოძრაობის“ დანაშაულებრივი რეჟიმი იყო „დემოკრატიის შუქურა“, რომლის ჩაქრობის შემდეგ ქართულ დემოკრატიას სინათლე აღარ ღირსებია.

იხ. 3 გვ.

უკრაინაში ერთ დღეში 5 ქართველი დაიღუპა!

ირაკლი ღარიბაშვილი: აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების ლიდერები საჯაროდ მიმართავენ საკუთარ მოქალაქეებს, არ მიიღონ მონაწილეობა უკრაინაში საომარ მოქმედებებში და სოლიდარობა სხვა ფორმით გამოხატონ

„დღეს მსოფლიოსა და ევროპაშიც ძალიან რთული ვითარებაა. მინდა, ყველას შევახსენო, რომ დაწყებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტით, შემდეგ ევროპის ქვეყნების სახელმწიფოების ლიდერები საჯაროდ მიმართავდნენ და მიმართავენ საკუთარ მოქალაქეებს, რომ არ მიიღონ მონაწილეობა უკრაინაში საომარ მოქმედებებში და რომ ეს სოლიდარობა გამოხატონ სხვა ფორმით.

ჩვენ, როგორც პასუხისმგებლიანი მთავრობა, რა თქმა უნდა, ვალდებული ვართ, რომ ვიზრუნოთ თითოეულ მოქალაქეზე და ჩვენი თითოეული ნაბიჯი უნდა იყოს კარგად გააზრებული, აწონილი, შეფასებული, რომ რაიმე ფორმით ჩვენს მოქალაქეებს, ქვეყანას არ შევუქმნათ პრობლემები. ჩვენი მთავარი ვალდებულება ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაა, რაც ჩვენი კეთილდღეობის განმსაზღვრელია. სამჯერ ვიომეთ, მეგობრებო, სამჯერ ვიომეთ მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა აღვადგინეთ. საკმარისია.

ჩვენ გვსურს ჩვენი ქვეყნის გაერთიანება მშვიდობიანი გზით. ეს არის გონივრული, ეროვნული პოლიტიკა და არა — ომით და, მით უმეტეს, წაგებულ ომებში ჩვენი ხალხის შეყვანით“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე .

ეს ჩვენთვის დიდი ტრაგედიაა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინაში ქართველი მებრძოლების დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს და დაღუპულების ოჯახის წევრებსა და ახლობლებს სამძიმარს უცხადებს.

იხ. 2 გვ.

მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის პროექტის პირველადი ვერსია პატრიარქს წარუდგინა

„ჩვენს პატრიარქს წმინდა მიწაზე, მდინარე იორდანეზე, ქართული კულტურის ცენტრის პროექტის პირველადი ვერსია წარვუდგინე და გავაცანი. მისმა უწმინდესობამ მისი მოსაზრებები გამიზიარა და პროექტზე ერთად ვიმსჯელეთ. მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, მდინარე იორდანესთან ქართული სავანის მშენებლობის პროექტზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. მალე დავიწყებთ პროექტის შეთანხმების შესაბამის პროცედურებს, ხოლო მოგვიანებით, მშენებლობის ნებართვის მიღებისთანავე მშენებლობას,“ — წერს საქართველოს მთავრობის მეთაური სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.

ცოცილისის ჯოჩლიმოლებში ჩაკაჩკული კენიოსი 6



ნიკო ფიროსმანი - 160

(პირველი გვერდიდან)

ეს ჩვენთვის დიდი ტრაგედიაა

„მინდა, სამძიმარი გამოვუცხადო დაღუპულთა ოჯახებს, მათ ახლობლებს, ნათესავებს. აქვე მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ჩვენთვის ეს არის ძალიან დიდი ტკივილი. გულწრფელად მინდა ვთქვა ამის თაობაზე. ეს დიდი დანაკლისია. უკვე ჩვენი 33 თანამოქალაქე დაიღუპა უკრაინაში, იმ ომში, რაც არის ჩვენთვის ტრაგედია. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ მათ ოჯახებს.

კიდევ ერთხელ მინდა, შევახსენო საზოგადოებას, რა როლი აქვს დღევანდელ ხელისუფლებას ამ პროცესში. მინდა, განვმარტო, რომ, ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებით, ოჯახებთან შეთანხმებით, ყველა დაღუპულის გადმოსვენება მოხდა მთავრობის უშუალო ჩართულობით. ჩართული იყვნენ უშუალოდ საელჩოები, ვგულისხმობ წინა შემთხვევებს. ხარჯებს სრულად ფარავს ხელისუფლება. მათი უმეტესობა იყვნენ ყოფილი სამხედროები, პოლიციელები, ოფიცრები. მათ მიღებული აქვთ მონაწილეობა ჩვენს ტერიტორიებზე ომებში, იქნებოდა ეს აგვისტოს ომი, აფხაზეთის თუ სამაჩაბლოს ომი. ყველა სამხედრო პატივითაა დაკრძალული. კიდევ ერთხელ მინდა, მივუსამძიმრო ყველას ეს ტრაგედია“.

ამორალური ფარისევლები

„მინდა, შევახსენო ამ ფარისეველ პოლიტიკოსებს – რომელი პოლიტიკოსი უნახავს ვინმეს ომში გარდაცვლილი. ბევრს რომ ლაპარაკობენ, „ფეისბუქში“ რომ არიან აქტიურები, გაბედული პოსტებით გამოირჩევიან, წავიდნენ და იომონ, არა კიევში, სელფებს რომ იღებდნენ, წინა პლანზე წავიდნენ და იომონ, თუ უნდათ მაინც და მაინც რუსეთ-უკრაინის ომში მონაწილეობა. ყველა ტრაგედიაზე ცდილობენ პოლიტიკური დივიდენდების მიღებას, ყოველთვის შევახსენებთ, რომ ეს არის ამორალური ფარისევლობა და მათ არაფერი ესაქმებათ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან, მის დაცვასთან. კარგად გვახსოვს, რა განცხადებებით გამოდიოდნენ „ომის პარტიის“ წარმომადგენლები, მათი სახალხო დამცველი, ქალბატონი ლომჯარია – გვირჩევნია, ბომბები ცვიოდესო. ჩვენ არავის მოგვწონს და შეშფოთებულები ვართ, რაც ხდება უკრაინაში, მაგრამ შეხედეთ ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს, ევროკავშირის სახელმწიფოებს, როგორ იქცევიან. ჩვენ ვართ ოკუპირებული სახელმწიფო. ამიტომ ჩვენს ნებისმიერ სიტყვასა და ქმედებას გააზრება სჭირდება, დიდი გააზრება. ჩვენ ეს კარგად გვაქვს გააზრებული. ჩვენ ნაცვლად ისინი ნუ გაირჯებიან, მათ უნდა მოუხადონ ბოდიში ყოველდღე, დილით და საღამოს ჩვენს ხალხს და საზოგადოებას იმისთვის, რაც მათ დამართეს ქვეყნას. ახლა ჩვენ გვაცადონ და გვადროვონ ქვეყნის მართვა.

კიდევ ერთხელ შევახსენებ ყველას, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს. ყველაფერი გაკეთდა ჩვენს მიერ და სათანადო პატივი მივაგეთ დაღუპულთა ოჯახებს, ყოველგვარი ყვირილისა და პიარის გარეშე. ყველაფერზე პიარის გაკეთება და იაფფასიანი, ამორალური პოპულიზმი შემაშფოთებელია. ეს რაღაც არაქართული მოვლენაა, შეიძლება ასე ითქვას. ქართველი კაცი, ადამიანი ყოველთვის ღირსეულად გამოხატავს სამძიმარს, ჭირისუფალთან იქნება სამძიმრის სიტყვის თქმა თუ ნებისმიერი ქმედებით, ფორმით გამოხატვა. რასაც ჩადიან პოლიტიკოსები, ამას ამორალური ფარისევლობა ჰქვია და სხვა არაფერი“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ბანკების ამხელა მოგება გაუმართლებელია

ბანკები და საფინანსო სექტორი მოგების გადასახადის ე.წ. ესტონურ მოდელზე აღარ გადადიან და მათთვის მოგების გადასახადის არსებული სისტემა შენარჩუნდება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„გვქონდა განხილვები ეკონომიკური საბჭოს ფორმატში და მინდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ვაცნობო საზოგადოებას, მათ შორის ბიზნესსექტორს, საბანკო სექტორს. პირველ რიგში, ჩვენ საფინანსო სექტორისთვის მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილება – ბანკები და საფინანსო სექტორი აღარ გადადიან მოგების გადასახადის ე.წ. ესტონურ მოდელზე. მათთვის შევინარჩუნებთ მოგების გადასახადის არსებულ სისტემას.

„ესტონური მოდელის“ ჩანაწერი გაუქმდება. ამ ინიციატივით შევდივართ პარლამენტში, რადგან გაუმართლებელია, ბანკებს ამხელა მოგება აქვთ, ორი მილიარდი ლარი იქნება ბანკების სუფთა მოგება წელს, წლის ბოლომდე. გარდა ამისა, ჩვენი ინიციატივით მოგების გადასახადი ბანკებისთვის იქნება 20 პროცენტი, ნაცვლად 15 პროცენტისა. ამით ჩვენ დამატებითი შემოსავლების მიღებას ვვარაუდობთ 2024 წლიდან. ასევე, მოგების გადასახადს ბანკები გადაიხდიან ფინანსური აღრიცხვის ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც მანამდე ასე არ ხდებოდა.

რა თქმა უნდა, ვაფასებთ ბანკების როლს ეკონომიკის ზრდაში, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გვაქვს ძალიან განვითარებული საბანკო სისტემა, ორი მსხვილი ბანკი არის ლონდონის საფონდო ბირჟაზე და ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ მათ ხელშეწყობას. ეს არის მცირედი კორექტივები, რომლებიც შევიტანეთ კანონმდებლობაში“.

პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ საგადასახადო შელავათები სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის დამატებით სამი წლის ვადით, 2026 წლამდე გაგრძელდება.

მესამე კვარტალში ბიზნესსექტორის ბრუნვა 17 პროცენტით გაიზარდა

„რამდენიმე დღის წინ გამოვიდა საქსტატის ბოლო მონაცემები. იანვარ-ოქტომბრის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 10%-ით განისაზღვრა. ასევე მინდა, ვთქვა, რომ მესამე კვარტალში ბიზნესსექტორის ბრუნვა 17%-ით გაიზარდა და 47 მილიარდი ლარი შეადგინა. ეს არის ჩვენი სწორი პოლიტიკის შედეგი. ბიზნესს, მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო. ბიზნესმა ყველაზე კარგად იცის, ქვეყანაში რომ არ იყოს სტაბილურობა და მშვიდობა, არავითარი ბიზნესბრუნვის ზრდა, დასაქმება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა არ იქნებოდა. ქვეყანას გადააქცევდნენ პოლიგონად. ამას გარდა, იცით, რომ სამუშაო ადგილები გაიზარდა და რეკორდული ზრდა არის სამუშაო ადგილების. ბიზნესსექტორში მესამე კვარტალში სამუშაო ადგილები გაიზარდა 45 000-ით და, ჯამში, შეადგინა 723 000, რაც რეკორდული მაჩვენებელია და შეიძლება ითქვას, რომ პანდემიამდელ მაჩვენებელს საგრძნობლად გადააჭარბა“, – განაცხადა პრემიერმა.

გვარი ამაყობს სახელოვანი შვილებით

არ არსებობს ქართველი, რომელსაც თვისი გვარის წარმოშობაზე მცირეოდენი ზეპირი ან წერილობითი ცნობა არ მოეპოვებოდეს. საკუთარი გვარის ისტორიის ძიებას, შეგროვებას და სისტემაში მოყვანას, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების გარდა, შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. დადგა დრო, დაიწეროს თითოეული გვარის ისტორია. ყველა გვარს ჰქონდეს საკუთარი სალოცავი – ღვთის სახლი, დაწესდეს ერთი გამორჩეული დღე, რომელიც საეკლესიო დღესასწაულთან იქნება დაკავშირებული და იმ დღეს გვარის წარმომადგენლები შეიკრიბებიან, იმსჯელებენ გვარში არსებულ პრობლემებზე, ამხელენ, დაგმობენ გვარის შემარცხვენლებს, შეაქებენ წარჩინებულებს და ა.შ.

წარსულიდან საფუძვლიანი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, გლობალიზაციის შემოტევის პროცესში მეტი ერთსულოვნება და შეკავშირება ესაჭიროება თითოეულ გვარს, რათა არ გავიოქვიფოთ უცხოტომელებში.

რაც უფრო ღრმად შევისწავლით ქართული გვარების ისტორიას, მით უფრო ნათელი გახდება მათი კეთილშობილება, ერისა და ქვეყნის წინაშე თითოეულის დამსახურება. მთავარია ყველამ ვიცოდეთ, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ.

სწორედ ეს უდიდესი მოვალეობა აკისრია სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზს (თავმჯდომარე ირაკლი ბრეგვაძე). ამ მოძრაობაში უნდა ჩაებას ყველა გვარი, ვისაც საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნია.

ერი, რომელიც სრულ თავისუფლებას, ეკონომიკას და სულიერებას ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე განავითარებს, თანდათანობით სრულ სოციალურ ჰარმონიას მიაღწევს. ეს კი გვარიშვილობით, მამულიშვილობით უნდა გაკეთდეს.

დღეს წარმოგიდგენთ აბულაძეების გვარის ღირსეულ ისტორიას, რომელიც აბულაძეების გვარის წინამძღოლმა, ბატონმა ვახტანგ აბულაძემ მოგვაწოდა.

ვალერიან ლომიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი. სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი

იხ. 5 გვ.

2022 წლის 1 დეკემბრიდან თურქეთის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზღვაო გენერალურმა დირექტორატმა გაამკაცრა მოთხოვნები ბოსფორითა და დარდანელით ნავთობის ტანკერების გავლაზე. ამიერიდან ანკარა სადაზღვევო კომპანიებისგან მოითხოვს წერილს, რომელიც დაადასტურებს გემის სპეციალური ე. წ. P&I დაზღვევას.

ეს არის ახალი საზღვაო სადაზღვევო პოლიტიკა, ის მოიცავს გემთმფლობელების პასუხისმგებლობას მესამე მხარის წინაშე გარემოს ან ტვირთის დაზიანების შემთხვევაში, ასევე ჭარიმებსა და მასთან დაკავშირებულ სანქციებს. აღნიშნული დაზღვევა ასევე ვრცელდება მთელ რიგ საფრთხეებზე, მათ შორის ნავთობის დაღვრასა და შეჯახებებზე.

მოახერხებს ევროპა რუსეთის საწვავზე დამოკიდებულების შეზღუდვას?

შავი ზღვით ტრანზიტის სირთულეები

სადაზღვევო წერილი გემის აგენტებისა და სადაზღვევო კომპანიების მიერ უნდა დაემატოს ნაოსნობის გეგმის 1 (SP-1) ანგარიშს თურქეთის საზღვაო ხელისუფლებისთვის საზღვაო დოკუმენტების წარდგენისას. ეს წერილი უნდა გაგზავნონ სადაზღვევო კომპანიებმა ან მათმა წარმომადგენლებმა. ეს მოთხოვნა პირველ რიგში რუსული და ყაზახური ნავთობით დატვირთულ ტანკერებს ეხებათ, თუმცა ის საქართველოს მათუმისა და სუფსის პორტებიდან ტანკერებით გასაგზავნ, კასპიისპირეთის ნავთობით დატვირთულ, ტანკერებსაც შეეხება.

უფრო მეტიც, ცოტა ხნის წინ თურქეთმა გადაწყვიტა გაზარდოს გემების ტრანზიტი შავი ზღვის სრუტეებში. ანკარას დამატებითი შემოსავლების მიღების შანსი გაუჩნდა - მსოფლიოში სწორედ საზღვაო გზით გადაიზიდება ნავთობის უდიდესი ნაწილი. თურქეთის წლიური შემოსავალი სრუტეების გავლით 40 მილიონი დოლარიდან 200 მილიონ დოლარამდე გაიზრდება. ჯერ კიდევ 1936 წელს ხელმოწერილი მონტრეს კონვენცია ე.წ. თურქული სრუტეების შესახებ, თურქეთის ხელისუფლებას საშუალებას აძლევს გაზარდოს გადასახადები შუქურით სარგებლობის, სავაჭრო გემების ევაკუაციისა და სამედიცინო დახმარებისთვის. ამ კონვენციის საფუძველზე 2022 წლის 7 ოქტომბრიდან თურქეთმა უკვე 5-ჯერ გაზარდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით ტრანზიტის ღირებულება.

აშშ-ს ენერგეტიკული ინფორმაციის ადმინისტრაციის 2022 წლის 9 ნოემბერს, „ანადოლუს“ სააგენტოთი გავრცელებული მოხსენების თანახმად, მსოფლიოში ნავთობპროდუქტების დაახლოებით 63 პროცენტი საზღვაო მარშრუტებზე მოძრაობს. ამავე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 2013 წელს მსოფლიო აწარმოებდა დაახლოებით 90 მილიონ ბარელ ნავთობს დღეში და ამ ნავთობის 63 პროცენტი (დღეში 56 მილიონი ბარელი) საზღვაო ტრანსპორტით გადიოდა. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ჰორმუზისა და მალაკას სრუტეებია მსოფლიოში ყველაზე სტრატეგიული საზღვაო სატრანზიტო მარშრუტები იმ ნავთობის მოცულობის გათვალისწინებით, რომელიც მათზე გადის.

ევროკავშირში კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების პროგრამები

ჰორმუზისა და მალაკას სრუტეებთან ერთად, მსოფლიოში არის კიდევ ხუთი სატრანზიტო მარშრუტი, რომლებიც გადამწყვეტია ნავთობის დიდი მოცულობების ტრანსპორტირებისთვის, მათ შორის სუეცის არხი და სრუტე ბაბ ელ-მანდები, რომელიც მდებარეობს აფრიკის რქასა და ახლო აღმოსავლეთს შორის, აგრეთვე დანიისა და თურქეთის სრუტეები და პანამის არხი. აღნიშნული სატრანზიტო მარშრუტების დროებით დაბლოკვამაც კი, შეიძლება გამოიწვიოს ენერგიის მთლიანი ხარჯების და მსოფლიო ენერგეტიკული ფასების მნიშვნელოვანი ზრდა.

ღმერთო, შენ გაუნათე გონება საქართველოს „დაუძინებელ მეგობრებს“!

(პირველი გვერდიდან)

სინამდვილეში, პოლიტიკაში ფაქტებით ყველაფერი თითქმის მათემატიკური სიზუსტით იზომება, ეს ფაქტები კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართულმა დემოკრატიამ გასული 10 წლის და მათ შორის – გასული 2 წლის მანძილზე, მხოლოდ წინსვლა განიცადა:

– 2008-12 წლების პარლამენტში ფორმალურად 12, რეალურად კი – მხოლოდ ოთხი ოპოზიციონერი დეპუტატი იყო წარმოდგენილი, ხოლო დღევანდელ პარლამენტში ოპოზიციას 59 დეპუტატი – 6 სხვადასხვა ფრაქცია და პოლიტიკური ჯგუფი წარმოადგენს;

– სენატორი რიში 2012 წლის ყოვლად გაუგონარი არჩევნებით აღფრთოვანებას დღემდე ვერ მალავს, თუმცა, ყველამ იცის, რომ 2012 წლის ჩათვლით, საქართველოში ყველა არჩევნები უხეშად ყალბდებოდა. „ქართული ოცნების“ პირობებში კი, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ხელისუფლება არათუ არჩევნებს არ აყალბებს, აგენტურა მას იქით უყალბებს ხმების პარალელური დათვლის შედეგებს;

– 2012 წლამდე ქვეყანას ჰქონდა დანაშაულებრივი რეჟიმის ინტერესებზე მორგებული, სრულიად დამახინჯებული კონსტიტუცია, რომელიც ავტორიტარიზმის სამართლებრივი გარანტის ფუნქციას ასრულებდა, დღეს კი მოქმედებს ახალი კონსტიტუცია, რომელიც კლასიკურ საპარლამენტო მმართველობის სისტემას ადგენს და ავტოკრატიის ჩამოყალიბებას აბსოლუტური ფორმით გამორიცხავს;

– 2012 წლამდე, ეროვნული მასშტაბით მოქმედი ყველა ტელევიზია ხელისუფლების კონტროლქვეშ მოქმედებდა, დღეს კი უზრუნველყოფილია მედიაპლურალიზმის უმაღლესი ხარისხი, რომლის პირობებში ნაცმოძრაობა 3 ტელეარხს ფლობს, ხოლო ნებისმიერი ახალი მედიასაშუალების დაფუძნება რამდენიმე დღეშია შესაძლებელი;

– 2012 წელს აღიკვეთა პატიმრების წამების, არაადამიანური მოპყრობისა და გაუპატიურების სისტემური პრაქტიკა, რომელიც 2012 წლამდე იყო დამკვიდრებული და რითაც წინა ხელისუფლებამ გვანტანანამოს ციხის ყველა რეკორდი მოხსნა. 2012 წლიდან, საქართველოში პატიმრების რაოდენობა 24,100-დან 9,200-მდე, ხოლო პატიმრების სიკვდილიანობა ათჯერ შემცირდა;

– 2012 წელს აღიკვეთა ბიზნესის რეკეტის სისტემური პრაქტიკა, რომელიც აგენტოკრატიის ფინანსური უზრუნველყოფისა და მისი პოზიციების გამყარების ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტი იყო;

– 2012 წლამდე სასამართლო ხელისუფლებას სრულად აკონტროლებდა სააკაშვილი-ადეიშვილის ტანდემი, რის შედეგადაც მართლმსაჯულება ხელისუფლების რეპრესიული მანქანის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად იყო ქცეული. 2012 წელს მოიხსნა პოლიტიკური ზეწოლა სასამართლოზე, რის შედეგადაც სასამართლო პრაქტიკა თვისებრივად შეიცვალა. გამამართლებელი განაჩენების ნულოვანი მაჩვენებელი ჰუმანურმა სისხლისამართლებრივმა პოლიტიკამ ჩაანაცვლა. მრავალჯერადად გაუმჯობესდა წინასწარი პატიმრობის, ადმინისტრაციული პატიმრობის, ჯარიმისა და გირაოს შეფარდების, მოქალაქეების მიერ მოგებული ადმინისტრაციული საქმეების მაჩვენებლები, რაც ადასტურებს, რომ სასამართლოში ვითარება არა მხოლოდ ფუნდამენტურად

გაუმჯობესდა, არამედ ყველა სისტემური პრობლემა პრინციპულად აღმოიფხვრა. ამ ყველაფერს დამატებით ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ათჯერ შემცირდა საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი სარჩელების რაოდენობა. გასულ წლებში ხელისუფლებამ უზენაესი სასამართლო 28 წევრით აგენტურისა და მისი პატრონების საყოველთაო კრიტიკის ფონზე დააკომპლექტა, თუმცა, დღემდე ვერავინ იხსენებს უზენაესი სასამართლოს მოქმედი შემადგენლობის მიერ განხილულ ვერცერთ საქმეს, რომელზეც ვინმეს რაიმე პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს;

– აღარაფერს ვამბობთ საერთაშორისო რეიტინგებზე და ინდექსებზე, რომლებიც ყველა მიმართულებით საქართველოს 10-წლიან ფუნდამენტურ დემოკრატიულ წინსვლას ადასტურებს.

როდესაც საქართველოს დემოკრატიული წინსვლა მათემატიკური სიზუსტით მტკიცდება და ამის მიუხედავად, საქართველოს „დაუძინებელი მეგობრები“ დემოკრატიის უკუსვლაზე საუბრობენ, ამაში მხოლოდ ერთი ლოგიკა შეიძლება დავინახოთ: სინამდვილეში, ისინი დემოკრატიაში სრულიად სხვა რამეს, კერძოდ – აგენტოკრატიას გულისხმობენ. საკმარისია სიტყვა „დემოკრატია“ სიტყვა „აგენტოკრატიით“ ჩავანაცვლოთ და მყისიერად ცხადი ხდება, თუ რას უწოდებენ ეს ადამიანები დემოკრატიის უკუსვლას.

ე.წ. „დემოკრატიის უკუსვლა“, ანუ აგენტოკრატიის უკუსვლა არის ვითარება, როდესაც:

– აგენტურა ზედიზედ მესამედ აგებს საპარლამენტო არჩევნებს და ვერ იბრუნებს ძალაუფლებას;

– აგენტურას ამხელენ ხმების პარალელური დათვლის გაყალბებაში;

– აგენტურა თავის ლიდერს არაჟნის კონტეინერით საქართველოში შემოპარვისთვის იმეტებს და ამითაც ვერ აღწევს მიზანს;

– აგენტურა რუსთაველის გამზირზე აღმართული სცენიდან ითხოვს მთავრობის გადადგომას და ქუჩის აქციებით ცდილობს ხელისუფლების გადატრიალებას, მაგრამ მიზანს ვერც ამ ფორმით აღწევს;

– აგენტურა მინიმალური დოზითაც ვერ ახერხებს მართლმსაჯულებაზე პოლიტიკური კონტროლის დაბრუნებას;

– აგენტურის ორი მთავარი ფიგურა თავს ვერ აღწევს სასჯელს ჩადენილი დანაშაულებისთვის და მათ ციხეში უწევთ სასჯელის მოხდა;

– აგენტურა იმ დონეზეა დეგრადირებული, რომ მისი მთავარი პარტიის თავმჯდომარის პოსტის დასაკავებლად ერთმანეთს ხაბეიშვილი, მელია და მუმლაძე ეჯიბრებიან;

– აგენტურა მისი ლიდერის განთავისუფლების მოთხოვნით გამართულ უკანასკნელ აქციაზე ათას კაცსაც კი ვერ უყრის თავს;

– აგენტურა ვერ ასრულებს მთავარ დავალებას და ვერ აღწევს საქართველოში მეორე ფრონტის გაჩაღებას.

ტრადიციულად, აგენტურის დასუსტების ფონზე, მათი პატრონები აქტიურდებიან და ასე ცდილობენ ხოლმე მათი თანამშრომლების სისუსტის კომპენსირებას. ამ ტრადიციის გათვალისწინებით, ორი სენატორის – რიშისა და შაჰინის ბოლოდროინდელი გააქტიურებაც სავსებით ლოგიკურია.

ასევე, მოსალოდნელია, რომ აგენტურის პატრონები ევროკავშირის წევრობის კანდიდატის თემის აქტუალიზებას კიდევ ერთხელ შეეცდებიან. საქართველოსთვის პრაქტიკული თვალსაზრისით არაფრისმომცემი სტატუსის თემა, თავის დროზე, ჩვენთვის მოიგონეს, რათა, უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, საქართველოსთვის სტატუსი არ მიენიჭებინათ და ამით, ხელისუფლებაში აგენტოკრატიის დაბრუნებისთვის გაეხსნათ გზა. თუმცა, საზოგადოებამ მაშინ სცენარი, საბოლოოდ, იოლად გაშიფრა და აგენტურას მისი განხორციელების შესაძლებლობა არ მისცა. ამის მიუხედავად, გამორიცხული არაა, მათ კანდიდატის თემის აქტუალიზება კიდევ ერთხელ სცადონ, თუმცა, დარწმუნებული ვართ, საზოგადოება ამ სცენარსაც ადვილად წაიკითხავს და მას კიდევ ერთხელ სათანადო რეაქციით შეხვდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში დემოკრატიის წინსვლა და აგენტოკრატიის უკუსვლა ერთნაირი მათემატიკური სიზუსტით მტკიცდება. ამასთან, აგენტოკრატიის უკუსვლა სწრაფი ტემპით სწორედ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო, როდესაც პარლამენტის საბოტაჟმა, 19 აპრილის ნაძალადევმა შეთანხმებამ და საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმინიჭებამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო და აგენტოკრატიის ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის მოაზრებულმა ამ სამივე აქტმა, საბოლოოდ, აგენტურა იქით დაასუსტა. დემოკრატიის ე.წ. ორწლიანი უკუსვლა სინამდვილეში სწორედ იმ უკუსვლას მოიაზრებს, რომელიც აგენტურამ ამ ორი წლის მანძილზე განიცადა.

ფაქტია, რომ საქართველოს „დაუძინებელი მეგობრები“ ქართველ საზოგადოებას დემოკრატიულ უკუსვლაზე საუბრით კიდევ დიდხანს შეაწუხებენ. მთავარია, საზოგადოება ამგვარი რიტორიკით არ გადაიღალოს და ამ ფონზე, შეცდომა არ დაუშვას. სწორედ ამისათვის არის საჭირო სიმართლით ხალხის აღჭურვა. მხოლოდ სიმართლით აღჭურვილი ხალხის ძალას შეუძლია საქართველოს თავიდან აიცილოს აგენტოკრატიის დაბრუნება, რაც ქვეყანაში მშვიდობისა და დემოკრატიული წინსვლის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა...

2012 წელს ირანი დაემუქრა დასავლეთს ჰორმუზის სრუტის გადაკეტვით და მოითხოვდა მეტ უფლებებს მის საზღვაო საზღვრების სიახლოვეს. თავის მხრივ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაზარდა თავისი საზღვაო ფლოტი ჰორმუზის სრუტეში.

მოხსენებაში ხაზგასმულია თურქეთის სრუტეების მნიშვნელობა და აღნიშნულია, რომ ნავთობის გაზრდილი ექსპორტი კასპიის ზღვის რეგიონიდან თურქეთის სრუტეებს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ სატრანზიტო მარშრუტად აქცევს: „თურქეთის სრუტეებით ნავთობი მიეწოდება დასავლეთ და სამხრეთ ევროპას“.

თუმცა, თურქულ სრუტეებთან დაკავშირებით ვითარების პიკანტურობა ისაა, რომ ზოგიერთმა სადაზღვევო კომპანიამ შეიძლება უარი თქვას ზემოაღნიშნული წერილების გაცემაზე. თურქეთი ხომ უკვე 20 წელია ოფიციალურად შეუერთდა „ნავთობით დაბინძურების ზიანის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთაშორისო კონვენციას“, რაც იმას ნიშნავს, რომ თურქეთის სრუტეებში გამავალ გემებს აპრიორი სპეციალური სერტიფიკატი აქვთ. და თუ ასეა, სადაზღვევო კომპანიები ვერ ხედავენ P&I დაზღვევის დამადასტურებელი წერილის წარდგენის საჭიროებას.

ამგვარი პოლისების უმრავლესობას ბრიტანული კომპანიები გასცემენ. მათი სერიოზული ავტორიტეტის გათვალისწინებით, ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს აკრძალვა მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს ნაოსნობის დადგენილ წესებზე, ასევე თურქეთის მხრიდან კონტროლის გაძლიერებაზე. არადა, სრუტეებზე ტრანზიტი სულ იზრდება. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაციის ფონზე, ნოვოროსიისკიდან რუსული ნავთობის მიწოდება ბოსფორის სრუტით დღეში დაახლოებით 650 000 ბარელს აღწევს. ამავე პერიოდში ნოვოროსიისკის და პორტ კავკაზის პორტებიდან ასევე იგზავნებოდა დღეში 1.3 მილიონი ბარელი ნავთობი ყაზახეთიდან. ამ ქვეყნის ნავთობის ძირითადი ნაკადი „თენგზის“, „კარაჩაგანაკის“, „კაშაგანის“ საბადოებიდან საერთაშორისო „კასპიის მილსადენი კონსორციუმის“ (CPC) მილებით იგზავნება ნოვოროსიისკში. ა/წლის 19 ნოემბერს, აგვისტოში დაწყებული სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ყაზახური ნავთობით ტანკერების შევსება დაიწყო SPM-1-ით (Singe Point Mooring) – ნოვოროსიისკის ნავსადგურის მცურავი ნავმისადგომიდან. ეს ადასტურებს მოსაზრებას, რომ ყაზახეთი ტრადიციულად, თავისი ნავთობის უმეტესი ნაწილის ექსპორტს ისევ ნოვოროსიისკის ტერმინალებიდან განახორციელებს. გავრცელებული ინფორმაციით, მეორე და მესამე ნავმისადგომების, – SPM-2-ის და SPM-3-ის რემონტიც მალე დასრულდება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ამ მარშრუტზე ტრანზიტს.

ნავთობის ნაკადების კონცენტრაცია

ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსული „ლუკოილი“ დასავლეთის სანქციების გამო აჰწლის დეკემბრიდან კასპიის ნავთობის საბადოებიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ექსპორტს შეწყვეტს და მას კასპიის მილსადენის კონსორციუმის (CPC) სისტემაზე, ანუ ნოვოროსიისკზე გადაიტანს. Reuters-ის ცნობით, კომპანიის გადაწყვეტილება ევროკავშირის ემბარგოს უკავშირდება, რომელიც ა/წლის 5 დეკემბრიდან ევროპელ მყიდველებს რუსული ნავთობის შეძენასა და ტრანსპორტირებას უკრძალავს. ემბარგო საერთაშორისო „კასპიის მილსადენის კონსორციუმს“ (CPC) არ შეეხება, რომელიც ყაზახეთის ნავთობის ძირითადი საექსპორტო მარშრუტია. ამასთან, სამხრეთ კავკასიით ტრანზიტული ნავთობის მოცულობამ 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში 4.1 მლნ ტონა შეადგინა, მაშინ, როცა 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში 2,815 მლნ ტონა გადაიქაჩა, რაც 46,8%-იანი ზრდის მაჩვენებელია. „ლუკოილი“ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანით ნავთობის ტრანსპორტირებას კასპიის ზღვის საკუთარი საბადოებიდან, „იური კორჩაგინიდან“ და „ფილანოვსკიდან“ ახორციელებდა. ექსპორტირებული მოცულობა წელიწადში, დაახლოებით, 2 მილიონ ტონას შეადგენდა. აშკარაა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიდან ეს ნავთობი CPC-ში გადაინაცვლებს, რაც საქართველოს სატრანზიტო შემოსავლებზე უარყოფითად აისახება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროკავშირმა, G7-ის ქვეყნებთან ერთად, ა/წლის 5 დეკემბრიდან საზღვაო გზით გაგზავნილ რუსულ ნავთობზე ფასის ზედა ზღვარი დააწესა, ბარელზე 60 დოლარი, რაც მათ საშუალებას მისცემს ნედლი ნავთობის ნაკადი რუსეთიდან კვლავ მიიღოს, მაგრამ მოსკოვს შემოსავლები შეუმციროს.

ინიციატივის იდეაა დაზღვევისა და იმ სერვისების შეზღუდვა, რომლებიც საშუალებას მისცემს რუსულ ენერგოკომპანიებს ნედლი ნავთობის გადაზიდვა გაძვირებულ ფასად მოახდინონ. ეს არის ევროკავშირის ადრინდელი გეგმების კორექტირება რუსული ნავთობის მიწოდების ეტაპობრივი აკრძალვის შესახებ. ენერგეტიკული უსაფრთხოების მოსაზრებებით, პერპერობით რუსული ნავთობის ექსპორტი „დრუჟბას“ მილსადენით ნაწილობრივ შენარჩუნდება აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, უნგრეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში.

იხ. 8 გვ.

რაც ახლა მიშას სჭირს, სულ მისი გარემოცვის კისერზეა!

ვის კისერზეა სააკაშვილის დღევანდელი მდგომარეობა, რა შეცდომა დაუშვა ექსპრეზიდენტმა დაპატიმრების შემდეგ არა მხოლოდ პიარ-სტრატეგიის კუთხით, რომელ კანონს არღვევს გიული ალასანია და რა მისცემს სააკაშვილს გათავისუფლების შანსს? – ამ საკითხების ირგვლივ For.ge-ს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ესაუბრება, რომელიც ამბობს, რომ მიშასთვის ყველაზე ახლო მეგობარი აღმოჩნდა და უკვე მეორედ აძლევს მისთვის უაღრესად მნიშვნელოვან რჩევას.

– როგორ შეაფასებდით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს? რატომ ჩაიგდო ხელისუფლებამ თავი რთულ ვითარებაში იმით, რომ თავის დროზე არ მისცა სააკაშვილის რეჟიმს პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება და მსოფლიოს აყურებინებს ნაციონალების ანტისახელმწიფოებრივ გამოხდომებს?

– თავის დროზე „ნაცმოძრაობის“ იმ ლიდერების განრიდება პასუხისმგებლობისგან, რომლებმაც ძალიან მძიმე დანაშაულები ჩაიდინეს, მათ შორის სახელმწიფო ღალატი, არასწორი იყო. სახეზეა დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსის საკითხი, კორუფცია, რეპრესიები, ადამიანთა მკვლელობა, გატაცებები, პირდაპირ შეიძლება თქმა – ბანდიტური ბანდფორმირებები ჰქონდათ ჩამოყალიბებული. ეს, რა თქმა უნდა, ხელისუფლების სტრატეგიული შეცდომა იყო და ამან პრობლემა ხელისუფლებას კი არა, ქვეყანას შეუქმნა. 2012 წლის შემდეგ, 10 წელია ქვეყანა ჯეროვნად ვერ ვითარდება, ჩამოყალიბებული მეხუთე კოლონა ჰყავს, რომელიც მტრულად არის განწყობილი ერის და სახელმწიფოს მიმართ. ბოლო დროს ძალიან ღიად და აშკარად გამოჩნდა, რომ ქვეყანას მართლაც ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს, განვითარდეს, მაგრამ მთავარი ფაქტორი განვითარებისა, არის ქვეყანაში მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნება. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ, ეს კარგად ორგანიზებული, ნაქურდალი ფულით დაფინანსებული მეხუთე კოლონა, არა მარტო პოლიტიკური სპექტრი, არამედ ე.წ. მათი ტოტალურად კონტროლირებადი მედიით, პირდაპირ ძირს უთხრის სახელმწიფოს და მცდელობას არ აკლებენ, ქვეყანა ჩაითრიონ სამხედრო დაპირისპირებაში – რუსეთთან ომში.

– დასავლეთის მოთხოვნა იყო, „ნაცმოძრაობა“ მეორე პოლიტიკურ ძალად შენარჩუნებულიყო. მას შემდეგ ბევრი საბოტაჟის ფაქტი ვნახეთ და არაერთი ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი. დღეს კი ღიად ფინანსდებიან და ძალაუფლების ხელში აღების ამბიციებიც გაუჩნდათ. ვანო მერაბიშვილიც გამოჩნდა საკუთარი ამბიციებით...

– დასავლეთის მხრიდან ნამდვილად იყო ეს მოთხოვნა, მაგრამ აქვს შედეგი? რაღაც მინიმალურ სუვერენიტეტს მაინც უნდა ამჟღავნებდეს ხელისუფლება. ადრე პრინციპულად მიუღებელი, დამჯერი პოზიცია იყო და დღეს ხელისუფლებამ აშკარად გამოაჩინა თავისი პასუხისმგებლობა და პრინციპულობა – უარი განაცხადა ქვეყნის ომში ჩათრევაზე. ამას დაფასება სჭირდება და ამას მე ვაფასებ. დღეს რომ საქართველოში 1000 კ/მ გაზი 2 ათასი დოლარი არ ღირს და ხალხი შიმშილით არ იხოცება, თაროებზე მრავალფეროვანი პროდუქტი დევს და პური არის, ეს არის ხელისუფლების სწორი, პასუხისმგებლიანი საქციელის შედეგი და მე ამას ვაფასებ. თუმცა, ცოტა ადრე რომ ექნათ, უკეთესი იქნებოდა... დღეს დაძაბულობა მთელ მსოფლიოშია და ამ დაძაბულობის განმუხტვის ხაზი პირდაპირკავშირშია ფრონტთან, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზეა. უკრაინაში მიმდინარეობს სამხედრო დაპირისპირება კოლექტიურ დასავლეთსა და რუსეთს შორის. რეალურად მიდის გენოციდი უკრაინელი ხალხის. რაც შეხება მერაბიშვილს და კეზერაშვილს, ეს გააქტიურება გასაკვირი არ არის. როცა ადამიანებს შერჩათ ნაქურდალი მილიარდები, თავისთავად ცხადია, ეს ფული აწუხებთ. ზედმეტი ფულია და ფულს უყვარს ძალაუფლება. ნახეს რა, სააკაშვილი პოლიტიკურად გაკოტრდა და ამ ოპოზიციას ლიდერი აღარ ყავს, ხედავენ, რომ დასავლეთში არიან ძალები, რომლებსაც უნდათ ამ ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილება, ამათ თავისი თავის შეთავაზება უნდათ. ფული კი აქვთ, მაგრამ ხელში უნდა მოიგდონ ის პოლიტიკური პარტია, რომელიც კვალიფიციური პარტიაა, დაფინანსება აქვს, რაღაც ელექტორატიც ყავს. 3% თბილისში შენარჩუნებული აქვთ, რა თქმა უნდა, მიშას ყოფილ ელექტორატსაც „დააჯდნენ“, დაახლოებით 6%-ია. უნდათ რევანშისტული საპროტესტო ელექტორატით აიღონ ეს ნიშა, ტელევიზიებიც, რომლებიც მზადაა, თუ დაფინანსების წყარო ექნებათ, იმუშაონ ქვეყნის წინააღმდეგ, მაგრამ მინდა გითხრათ, აბსოლუტურად უპერსპექტივოა. მეგონა, მერაბიშვილს ცოტა ჭკუა ჰქონდა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკაში სწორ თვითშეფასებას და შექმნილი მოცემულობის, გარემოს ობიექტურ ანალიზს. ის, რომ წყლის ამღვრევის სურვილი გარეთ არსებობს, გასაგებია, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ ვინმემ შეიძლება გაიფიქროს, რომ მერაბიშვილი ძალაუფლებას დაიბრუნებს.

– იქნებ მხოლოდ ფული არ აწუხებთ და მერაბიშვილი ფიქრობს, რომ ხელისუფლება იმდენად დასუსტდა, დიდი ფულის პირობებში, „ნაცმოძრაობას“ რაღაც შანსები აქვს. რა გათვლაა იგივე ხაბეიშვილის ფიგურის შერჩევა?

– აქ გათვლა არ არის, აქ უბრალოდ, ზუსტად ის მომენტია, როცა უძაღლოდ დარჩენილ პოლიტიკურ სივრცეში, კატები ყეფენ. აბა, გადახედეთ სათითაოდ და გადაარჩიეთ. ნახეთ, რა არის „ნაცმოძრაობა“.ხაბეიშვილზე ცოტა მეტი მიხვედრაც აქვს, იმას იმდენი მიხვედრაც აქვს, რომ სიცარიელეში არ იტივტივოს... ამიტომ სხედან წყნარად, თორემ მთლად ასე გაკოტრებულები ხომ არ არიან. ჭიაბერაშვილმაც რომ მოინდომა, ვერ ნახე? კაცი პარტიის წევრიც არ არის და ეს დაავიწყდა. ეს არის დასასრული, რაც 10 წლის წინ უნდა ყოფილიყო. სახეზე გვქონდა ნაციონალების დასასრული, უბრალოდ, ხელოვნურად ხელისუფლებამ გამოაცოცხლა, აპარატზე შეაერთა, რეანიმირება გაუკეთა. იფიქრა, ამით თავს დასავლეთსაც მოაწონებდა, რადგან იქ იყო ამის მოთხოვნა. თუმცა, მათ შეეძლოთ ფაქტის წინაშე დაეყენებინათ დასავლეთი, რომ „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურად გარდაიცვალა და დაენახებინათ რეალურად, რაც იყვნენ.

– ასეთი აზრიც გაჩნდა, რომ მერაბიშვილს გამოჩენა-გააქტიურება, ივანიშვილის ინტერესებშია და მერაბიშვილის ხელით ანადგურებს „ნაციონალურ მოძრაობასო“. რეალობასთან ახლოსაა ეს პოზიცია?

– ივანიშვილს რომ მაგათი განადგურება სდომებოდა, თავის დროზე გაანადგურებდა. არა მგონია, ივანიშვილი ერეოდეს ამათ საქმეში. ესენი თავის თავს თვითონ მარხავენ. ამიტომ ახლა ყველაზე ჭკვიანური იქნება, რომ ხელი არ შევუშალოთ ერთმანეთის დამარხვაში. ივანიშვილს ამათზე მეტი გამოცდილება აქვს და კარგად ესმის, ახლა მისი ჩარევა აბსოლუტურად ზედმეტია. ცოტა უფრო მეტად სერიოზული საქმეები აქვს ივანიშვილს, მე ასე მგონია!

– რას იტყვით დაქირავებულ ამერიკულ პიარკომპანიაზე და ზოგადად, როგორ უყურებთ პროცესებს, რომელიც ექსპრეზიდენტის ირგვლივ ვითარდება.

– სააკაშვილმა აბსოლუტურად არასწორი სტრატეგია აირჩია, მისთვის ზედმიწევრით დამამცირებელი. დავიწყოთ იქიდან, რომ სოსისების და არაჟნის კონტეინერით ყოფილი პრეზიდენტის შემოსვლა ქვეყანაში, უბრალოდ, პლინტუსს ქვევით არის. ფსკერი გახვრიტა ასეთმა კომიკურმა შემოსვლამ. ახლა რასაც აკეთებს – ეს ხომ საერთოდ სარკაზმია. მერაბიშვილიც იჯდა, ახალაიაც. ორივემ იბრძოლა იმისთვის, რომ არ ჩამჯდარიყვნენ. სააკაშვილი ახლა რასაც აკეთებს, ძალიან დამამცირებელია მისთვის. ჯერ, რა ხალხი ჰყავს დაქირავებული, გამოდის ვიღაც, რადიოში ვისმენდი, ამბობდა, ადვოკატი ვარო და 4 საწამლავით არის მოწამლულიო. ე.წ. მითრიდატე პონტოელი გამოიყვანა სააკაშვილი, რომელსაც წამლავდნენ და ვერ წამლავდნენ. სხვათა შორის, ერთ–ერთ მოწამვლაში დედამისი იყო ეჭვმიტანილი. ჰოდა 4 მოწამვლა, რა ვიცი... ხელისუფლებამ უნდა გააკონტროლოს, იქ რაღაც ზედმეტად უშვებს ამ ხალხს. 4 საწამლავით არის მოწამლულიო და ვერც ერთმა ვერ მოწამლაო. ვინ შეიძლება ეს დაიჯეროს?! „ქართულმა ოცნებამ“ დაგეგმოს პატიმრის, ყოფილი პრეზიდენტის, მოწამვლა და თან ერთი საწამლავით ვერ ქნას და 4 შეიტანოს და ოთხივეთი ვერ ქნას? ამას რომ იტყვის, უკვე ხომ ჩანს, რა მდგომარეობაშიც არის. სააკაშვილი დღემდე გაიძახის, ყველაფერს კარგად ვაკეთებდიო. ეშმაკივით იქცევა, ეშმაკს ხომ ბოდიშის მოხდა არ შეუძლია. არ შეუძლია თქვას, უფალო შემიწყალე: – აი, ზუსტად ეშმაკივით იქცევა, ბოდიშს ვერ იხდის კაცი. პატიმარს რომ ჯოხს ურჭობდნენ და აწამებდნენ, ეს სწორი საქციელი იყო?! გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის საქმეები, ეს რეპრესიები, ბიუჯეტის ძარცვა, დავითგარეჯას საქმე, ხალხის ბანდიტურად ძარცვა, მძევლად აყვანა... დაიჭერდნენ ვიღაცას, ფულს მოატანინებდნენ ოჯახს, მერე გამოუშვებდნენ, ეს სწორი იყო? ამისთვის ბოდიშიც არ მოუხდია. ამბობს, ყველაფერი კარგად გავაკეთეო. იცის, ის აგრესია, რაც მის მიმართ იყო, შენარჩუნებულია. დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ მიშას გამოშვების, ხალხის შიშით ვერ გამოუშვებენ. ძალიან დიდი აგრესიაა მის მიმართ საზოგადოებაში, ხალხში მაგათი დაბრუნების შიშია. არასწორი სტრატეგია აირჩიეს. ღმერთმა დამიფაროს, დამცირება დავაპირო, პატიმარია კაცი და მე ეს არ მახასიათებს, უბრალოდ, ეს მისთვის დამამცირებელია, სხვაგვარად უნდა მოიქცეს. ჯერ ერთი, ხალხს ბოდიში მოუხადოს, ღმერთისგან შენდობა ითხოვოს, აღიაროს, რომ ბევრი რამ შეეშალა. ამის შემდეგ შესაძლებლობის ფანჯარა შეიძლება გაიღოს ხალხთან ურთიერთობისთვის. მაინტერესებს, გიული ალასანიას საიდან აქვს ამდენი ფული, რომ ამერიკული კომპანიები დაიქირავოს? ეს ათეულობით მილიონები ღირს. როცა სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, ამოიღეთ მაგის ქონებრივი დეკლარაცია და სადაც ნახავთ გიული ალასანიას, ყოველთვის ჰკითხეთ, როგორ გამდიდრდა. საიდან ფლობს ამ ქონებას, საიდან აქვს შესაძლებლობა, რომ ასეთ კომპანიებს ქირაობს? როცა სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, მას ხომ არ ჰქონდა ეს ბიზნესები. საქართველოში არსებობს კანონი „კორუფციისა და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ“. ამ კანონში პირდაპირ წერია, რომ ჩინოსნებმა, ყოფილმა ჩინოსნებმა და მათი ოჯახის წევრებმა არსებული ქონების შესახებ დაუსაბუთება თვითონ უნდა წარმოადგინონ. ანუ ასეთ დროს მტკიცების ტვირთი არის მათ მხარეს. ამიტომ გიული ალასანია და ყველა: მერაბიშვილი, კეზერაშვილი, ვალდებული არიან თავისი ქონების კანონიერება დაასაბუთონ. დაასაბუთონ საიდან აქვთ ეს ქონება, ამას კანონი ითხოვს.

– რას ელიან გიული ალასანია და სააკაშვილი ამერიკელი ლობისტებისგან? თავის დროზე ფსიქოლოგი და ფსიქიატრიც მოიწვიეს უცხოეთიდან, ახლა კი პიარკომპანია დაიქირავეს, რა შედეგს ელიან?

– ამათ ჩათვალეს, რომ სტრატეგია – ფსიქოლოგები და ფსიქიატრები, „ემპათიები“, ყველაფერი პიარი იყო. ჩათვალეს, რომ რაღაც არასწორად მიდიოდა პიარი და ახლა დაიქირავეს კომპანია, რომელიც იმუშავებს, არამხოლოდ რეკომენდაციებს მისცემს პიარში, ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთ. ესენი შეეცდებიან ქვეყნის გარეთ შექმნან საინფორმაციო კლიმატი, ლობისტური კომპანიის საშუალებით ფული ხარჯონ კონკრეტულ თანამდებობის პირებთან, ეს რეალურად კორუფციის მაგვარი რამ არის, თუმცა აშშ-ში ეს კანონიერია. კუბილიუსების და მისნაირების განცხადებები, თქვენ გგონიათ, უანგაროა? მე არ ვფიქრობ, რომ ესენი უანგაროდ საუბრობენ. ახლა უნდათ, ფრონტი უფრო გაიშალოს. ერთხელ უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე სააკაშვილს კარგი რჩევა მივეცი, მაშინ მან მოისმინა და ამით არაფერი წაუგია. ახლაც მინდა, ვურჩიო, ღმერთმა დამიფაროს, ნიშნის მოგებით და რაიმე სხვა მიზნით ვსაუბრობდე, მინდა ვუთხრა, ეს არასწორია, არასწორ გზას ადგას. ეს იმას აჩვენებს, რომ მას ქართული მენტალიტეტის არ ესმის, მცდარი გზა აირჩია. ჯერ ერთი, ღირსებას არ მატებს, პირიქით, ამცირებს და აკნინებს. სიტუაცია გააშარჟეს, გააკომიკურეს. თუ მას უნდა, რომ პოზიტიური გარემო შეიქმნას, გზა უნდა იპოვოს არა კოლექტიურ დასავლეთში – კოლექტიურ კუბილიუსებთან და ვიღაცეებთან, რომლებმაც ქართველ საზოგადოებას უკვე თავი მოაძულეს, არამედ თვითონ ხალხთან. ხალხთან ურთიერთობის დაწყება შეიძლება ბოდიშით. ეს დიდებული სიტყვა – „შემინდე“ ღმერთმა გვასწავლა ჩვენ, ადამიანებს. ეს გაანთავისუფლებს ყველა იმ ტვირთისგან, რაც შენ, ადამიანს გაწევს. ეს, პირველ რიგში, უნდა ითხოვოს ღვთისგან, რა თქმა უნდა, და მერე ხალხისგან. ეს არის ჩემი რჩევა. აი, ყველაზე კარგი მეგობარი მე აღმოვჩნდი სააკაშვილის. ნებისმიერმა მესამე პირმა შეაფასოს, რას ურჩევს გვარამია და ის ბრბო და რა ვურჩიე მე, რომელმაც რაც საერთოდ ერთმანეთის არსებობა გავიგეთ, ერთმანეთს ვებრძოდით. ვინ უფრო კაცური და ადამიანურია და ვინ უფრო მეგობრული რჩევა მისცა, მისმა ბრბომ თუ მე. თვითონაც დაფიქრდეს, რომ ასე სჯობს.

– ისე გამოვიდა თავისმა თანაპარტიელებმა გამოიყენეს ბოლომდე და გაწირეს.

– სარგებლობენ. თანაპარტიელებმა გაწირეს 2013 წელს. ძირითადად, დაკავებული იყვნენ სააკაშვილის ფულის გამოძალვით. მაგის მეგობრების კისერზე არაა სააკაშვილის საკვები პროდუქტების კონტეინერით აქ ჩამოსვლა? მისმა გარემოცვამ შემოიტყუა სააკაშვილი საქართველოში. არასწორ რჩევებს აძლევდნენ, არასწორ ინფორმაციას. მაგათ დაღუპეს რეალურად. რის გამო? – იმიტომ, რომ ფული გამოეძალათ. აბა, გვარამია რითი იცვლიდა ამ მანქანებს? ასეთი დაუნდობელი, ასეთი სასტიკი და არაკაცური დამოკიდებულება თავისი საკუთარი ლიდერის და მეგობრის მიმართ, რაც მაგისმა გარემოცვამ გამოიჩინა, იყო არაკაცობის მწვერვალი. რაც ახლა მიშას სჭირს და რასაც აგრძელებინებენ, ეს სულ მისი გარემოცვის კისერზეა.

ესაუბრა
ზორენა კოწოწაშვილი

გვარი ამაყობს სახელოვანი შვილებით

(მეორე გვერდიდან) შთამბეჭდავია აბულაძეების გვარის ისტორია. ეს გვარი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია საქართველოში და 12000-ზე მეტ გვარიშვილს ითვლის, გვარების ჩამონათვალში მე-12 ადგილი უკავია, ისტორიულად აზნაურთა საგვარეულოა XV საუკუნის საქართველოში.

დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში (1089-125 წწ) კლდეკარის მამასახლისად მოიხსენებიან აბულაძეები, რომელთაც სხვებთან ერთად აღასრულეს მღვდელმთავრის გიორგი ჭყონდიდელის სიტყვა და თურქებს წაართვეს სამშვილდის ციხე.

კათალიკოს სვიმონ ჩხეტიძის დროს ფერსათის მამასახლისი აბულაძე ყოფილა (1664 წ).

1850 წლის 6 დეკემბერს რუსეთის მთავრობამ თავადთა და აზნაურთა წოდებაში დაამტკიცა და საოჯახო სახელობით სიაში შეიტანა გურული და იმერელი აბულაძეები.

აბულაძეებს აზნაურობა მიუღიათ: იმერეთში, გურიაში, ქართლში, ქსნის საერისთავოში. XV საუკუნეთა სიგელ – გუჯრებში მამასახლისნი მეფეთა და კათოლოკოსთა, ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის აბულაძეები გამოდიოდნენ ქართველთა ლაშქარში: დადიანთა, გურიელთა, წერეთელთა, ამილახვართა, ციციშვილთა, მუხრანბატონთა, ბარათაშვილთა, აგრეთვე ალავერდელ, ბოდბელ, ნეკრესელ ეპისკოპოსთა დროშების ქვეშ.

შიდა ქართლში, დირბის მოსახელე აბულაძენი იმერეთიდან მოსულან, რომელთაც თარხნობა ბოძებიათ მეფეთაგან.

XV საუკუნიდან იმერნი, ჩხარელი აბულაძენი გელათის წმინდა გიორგის ეკლესიის მსახურნი ყოფილან.

აბულაძეთა გვარი ჯავახეთიდან იღებს სათავეს. ახალქალაქის რაიონში, აბულ-სამსარის ქედზე არის დიდი და პატარა აბულის მთა, რომელთა სიმაღლე 3305 და 2799 მეტრია, რომლის ძირშიც არის სოფელი აბული.

აბულა იყო მამაკაცის გავრცელებული სახელი, რომელსაც უკავშირდება აბულაძეთა გვარის წარმოშობა.

ტოპონიმი - სააბულაძეო უბანი დღემდე შემორჩენილია საჭანაოსა და საზარანდოს შუა (ძველი ხიბულა), დაიდაღის ნაპირას – ერგეტის თემი, სოფელი ზედა ვაშლოვანი, ვაშლოვანის თემი (ხულოს რაიონი), სოფელი სიმონეთი, (თერჯოლის რაიონი), სოფელი ზედა საქარა, (ზესტაფონის რაიონი).

აბულაძეების შტოგვარებია: აბულაშვილი, ობლიძე, აბულოვი, აბულოვანი, აბულიძენი. ობლიძეები, ვახტანგ მეფის დროს 1711 წელს მეფის კარზე მოხსენიებულნი ყოფილან, ასევე იხსენიებიან 1783 წლის ტრაქტატსა შინა, რომლებიც ქართლში აზნაურებად იწოდებოდნენ და იმერთა აბულაძეთა მოძმენი იყვნენ.

აბულაძეთა რიცხვმრავალი გვარი, ოდითგანვე კომპაქტურად დასახლებულნი ყოფილან იმერეთში, ქართლში, გურიაში, აჭარაში, ჯავახეთში. აბულაძეთა საგვარეულოს წარმოშობის და განვითარების კვლევა გრძელდება, რომელიც გამოიცემა წიგნად უახლოეს პერიოდში, ასევე მზადაა დოკუმენტური ვიდეო და ფოტომასალები რომლებიც გვარის ისტორიისათვის უნიკალური შენაძენი იქნება.

ამჟამად აბულაძეები ცხოვრობენ საქართველოს 5 ქალაქში, 52 მუნიციპალიტეტში (რაიონში), 234 საკრებულოსა და 329 სოფელში – იმერეთში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში; ქალაქებში – თბილისი, ქუთაისი, თერჯოლა, ზესტაფონი, ბაღდათი, ტყიბული, ბათუმი, ხულო, ქედა, ქობულეთი, ხელვაჩაური, ადიგენი, ახალციხე, ბორჯომი, კასპი, ოზურგეთი, ზუგდიდი, წალენჯიხა, აგრეთვე ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციაში, თურქეთში, საბერძნეთში.

საინტერესოა აბულაძეთა გვარის ისტორიული წარსული და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, გვარი თავად იკვლევდეს თავის ისტორიას, ადგენდეს თითოეული განშტოების გენეალოგიას, რათა შემდგომში მოხდეს აბულაძეთა გვაროვნული ისტორიის შექმნა, გეოგრაფიული რუკის შედგენა, საქართველოს ისტორიაში აბულაძეთა გვარის ადგილის წარმოჩენა, გვარის იმ წარმომადგენლების ცხოვრება – მოღვაწეობის შესწავლა და წარმოჩენა, რომლებმაც დადებითი კვალი დატოვეს ქართველი ერის ისტორიაში, ასეთი ადამიანები აბულაძეების გვარს მრავალად ჰყავს.

საამაყოა, რომ გვარს ჰყავს მეუფე, სხალთის ეპარქიის **მთავარეპისკოპოსი სპირიდონი,** ერობაში **გოჩა აბულაძე,** რომელიც წმიდა ანდრია პირველწოდებულის ნაკურთხ მიწაზე მოღვაწეობს და მართლმადიდებლობის ამღორძინებელია. მეუფე ჩვენი გვარის წინამძღოლია.

სხვადასხვა ეპარქიებში მოღვაწეობენ აბულაძე მამები: **მამა იაკობი – სამთავისის და გორის ეპარქია, მამა მიქაელი – მცხეთა თბილისის ეპარქია, მამა გაბრიელი – მარტყოფის ეპარქია, მამა ანდრია – ნინოწმინდისა და საგარეჯოს ეპარქია, მამა გიორგი – ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქია, დედა პელაგია – სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია**

ქართველ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, ღირსეული ადგილი უჭირავს გამოჩენილ კინორეჟისორს, საქართველოს სახლხო არტისტს **თენგიზ აბულაძეს.**

ქართულ ენციკლოპედიაში შეყვანილი არიან:

აბულაძე ილია – ფილოლოგი, რუსთველოლოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

აბულაძე იუსტინე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფილოლოგი, ირანისტი, რუსთველოლოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

აბულაძე ალექსანდრე – ბიოქიმიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

აბულაძე დიმიტრი – მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დღესაც რუსეთის წამყვან მეან-გინეკოლოგიის კლინიკებში იყენებენ დიმიტრი აბულაძის მეთოდით მკურნალობას.

აბულაძე კალენიკე – ფიზიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

აბულაძე ნანი – დამსახურებული იურისტი, პოლიციის პოლკოვნიკი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი. შსს ერთ-ერთი წამყვანი სამმართველოს ყოფილი უფროსი, თბილისი.

საქართველოს ძლიერებისა და აბულაძეების გვარის წარმოჩენაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით:

ბაბო აბულაძეს – ჟურნალისტი, სტუმართა ცნობილი მასპინძელი და მჭევრმეტყველი, (ზუგდიდი).

ნოდარ აბულაძეს – პედაგოგი, ჟურნალისტი, საერთაშორისო ჟურნალისტთა კავშირის წევრი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე (ხულო).

ვიტალი აბულაძეს – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე (ბაღდათი).

რამინ აბულაძეს – დამსახურებული ჟურნალისტი (ბათუმი).

თეიმურაზ აბულაძეს – პოეტი, პუბლიცისტი (თბილისი).



ვახტანგ აბულაძეს – პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე (ბათუმი).

ამჟამად ქვეყნის სამსახურში დგანან:

თამაზ აბულაძე – წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის (1998-2007წწ) დირექციის დირექტორი, წარმოშობით კასპიდან, სოფელი ქვემო ჭალა. მშენებლობაზე ბაღდათიდან, გორიდან, კასპიდან და აჭარიდან, დასაქმებული ჰყავდა 10 აბულაძე, მშენებლობას სამშენებლო მასალებით ამარაგებდა **თემურ აბულაძე** ქუთაისიდან.

როინ აბულაძე – იუსტიციის მრჩეველი, ყოფილი პროკურორი, (ბათუმი).

თამაზ აბულაძე – დამსახურებული ჟურნალისტი, პოეტი, რამდენიმე წიგნის ავტორი, მწერალი, (ქედა).

თემურ აბულაძე – ქ. ახალციხეში რაბათის ციხის რეკონსტრუქცია – აღდგენის უშუალო შემსრულებელი და ხელმძღვანელი (ადიგენიდან).

ცისანა აბულაძე – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ქუთაისი).

ვანო აბულაძე – დამსახურებული მხატვარი (თბილისი).

ნოდარ აბულაძე – ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (რუსთავი).

დავით აბულაძე – ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი (ბათუმი).

დავით აბულაძე – დამსახურებული არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე.

ეკატერინე აბულაძე – მხატვარი, პროფესორი (თბილისი).

დავით აბულაძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ზოგადი ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

ჯამბულ და სოსო აბულაძეები – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სამსახურის უფროსი.

ვასილ აბულაძე – ქ. თბილისის მერიის სამსახურის უფროსი.

როლანდ აბულაძე – ხულოს მუნიციპალიტეტის სამსახურის უფროსი.

ცნობილი ბიზნესმენები: **ზვიად აბულაძე** – „ნოვას“ გენერალური დირექტორი, რომელსაც კომპანიაში დასაქმებული ყავს 40 აბულაძე.

გია და თორნიკე აბულაძეები – საამშენებლო კომპანია „არსის“ დამფუძნებლები და გენერალური დირექტორები.

მალხაზ აბულაძე – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, სახალხო არტისტი... ეს მცირედი ჩამონათვალია იმ ღვაწლმოსილი აბულაძეებისა, რომელთაც უდიდესი როლი მიუძღვით გვარის წარმოჩენისა და საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

2007 წელს ივნისში დაფუძნდა საქართველოს აბულაძეთა საგვარეულო კავშირი, თავმჯდომარედ აირჩიეს **ვახტანგ აბულაძე.** 2017 წლის 17 ივნისს ქ. ბათუმში ჩატარდა დაფუძნების 10 წლის აღსანიშნავი საგვარეულო შეხვედრა, 2018 წლის 26 ივნისს ქ. ახალციხეში გვარის და ხატის დალოცვის 5 წლისთავთან დაკავშირებით შეიკრიბნენ აბულაძეები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. კავშირის დაფუძნების შემდეგ შეიქმნა საგვარეულო გერბი და დროშა (ავტორი **ვ. აბულაძე**). კავშირის მიერ კონკურსის შედეგად შერჩეული იქნა ტექსტი საგვარეულო ჰიმნისათვის, (ავტორი თ. აბულაძე) რომელთა პრეზენტაცია შედგა აღნიშნულ შეხვედრებზე, გვარიშვილების მიერ მიღებული იქნა და დამტკიცდა საგვარეულო სიმბოლოები.

საგვარეულო შეხვედრები ჩატარდა 2015 წელს ქ. ბათუმში, 2016 წელს, ქედაში, 2019 წელს ხულოში, 2010 წელს დაიწერა საგვარეულო ხატი, რომელიც 2013 წლის 26 მაისს, გვარის დალოცვასთან ერთად აკურთხა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლოკოს პატრიარქმა ილია II-მ.

2015 წლიდან მოქმედებს აბულაძეთა საგვარეულო ვებგვერდი.

საგვარეულო კავშირის ინიციატივით ქ. ქუთაისში ავტოქარხნის დასახლებაში და ქ. ბათუმში ბულვარის დასაწყისში მდებარე ქუჩებს შესაბამის მუნიციპალიტეტების საკრებულოების განკარგულებებით 2016 წელს მიენიჭა დიდი ქართველი კინორეჟისორის თენგიზ აბულაძის სახელი, ხოლო თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში თბილისის საკრებულოს განკარგულებით, 2015 წელს, ქუჩას დაერქვა ბიოქიმიკოს-პროფესორ ალექსანდრე აბულაძის სახელი.

აბულაძეთა საგვარეულო კავშირის გამგეობის 2008 წლის 9 მარტის დადგენილებით დაწესდა საგვარეულო კავშირის საპატიო სიგელი, სახელმწიფოს წინაშე შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და გვარის ღირსეულად წარმოჩენისთვის, აგრეთვე გამგეობის გადაწყვეტილებით გვარიდან გათხოვილ ქალიშვილებს, ასევე ქართული ეროვნული ტრადიციის აღდგენის მიზნით, მზითვად ვატანთ შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას, „ვეფხისტყაოსანს“.

2019 წლის 5 აპრილის დადგენილებით ერის, ქვეყნისა და გვარის წინაშე დამსახურებისთვის წარმოჩენილი, ღვაწლმოსილი გვარიშვილების ღირსებისა და პატივის მიგების მიზნით, დაწესდა საგვარეულო მედალი „საპატიო გვარიშვილი“.

2015 წლის 18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან გადმოსვენებულ იქნა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის იუსტინე აბულაძის ცხედარი. შეგახსენებთ, რომ უნივერსიტეტის მესამე სართულზე ფუნქციონირებს იუსტინე აბულაძის სახელობის აუდიტორია.

2020 წლის 1 მაისს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლას მივმართეთ,მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის ილია აბულაძის სახელის მინიჭების თაობაზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით საჯარო სკოლას მიენიჭა ილია აბულაძის სახელი.

2021 წლის 9 სექტემბერს წერილობითი ეთხოვა ხულოს რაიონის სოფელ ზედა ვაშლოვანის საჯარო სკოლის დირექციას დამსახურებული მასწავლებლის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ნოდარ აბულაძის სახელის მინიჭება სკოლაზე,რაც გადაწყვეტის სტადიაშია.

2022 წლის 4 აპრილს ქ. ბათუმის მერიას წერილობით ეთხოვა ქ. ბათუმში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დირიჟორ დავით აბულაძის სახელობის ვარსკვლავის გახსნა.

2020-2022 წლეებში აბულაძეების გვარის ისტორიისა და ღვაწლმოსილი ადამიანების შესახებ სხვადასხვა ავტორების მიერ გამოცემული იქნა წიგნები, უახლოეს პერიოდში გამოიცემა გვარის ისტორია გიორგი აბულაძის მიერ.

უფალმა ამრავლოს გვარი აბულაძეთა.

წმიდა ანდრია პირველწოდებულის ჯვრის მადლი და ძალა ფარავდეს აბულაძეების გვარს!

ვახტანგ აბულაძე,

საქართველოს აბულაძეთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე.

სრ

„სულ მარტო იყო, მარტო სვამდა, მარტო გათავდა...“

ნიკო ფიროსმანი - 160



ფიქრთა კორიანტელით დამუხტული გზას მირზაანისკენ მივყავარ. გონებაში ნიკალას ღვთიური სახე არ მასვენებს, წარმოდგენაში ილვიძებს მისი დაულაგებელი, აწეწილ-დაწეწილი, სიღარიბითა და სიდუხჭირით სავსე ცხოვრება. სინანული მიპყრობს, ყელზე რაღაც მებჯინება, მინდა ხმამაღლა წამოვიძახო, მაგრამ მარტო ვარ, ვინ მომისმენს? ისევ საკუთარ ფიქრებთან ვრჩები. რაღაცნაირად, დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რომ ამ გენიოსის ჯოჯოხეთად ქცეულ ცხოვრებას, რაღაც შეღავათი ვერ შევძინეთ, ვერ აღმოვაჩინეთ, ვერ მივხვდით, ვერ მოვუარეთ, ვერ დავაფასეთ ისე როგორც საჭირო იყო. ვინ იცის, იქნებ სწორედ მისმა დახლართულმა ცხოვრებამ გამოკვეთა მისი ზებუნებრივი ნიჭიერება, ბიძგი მისცა მის გასაოცარ შემოქმედებას, ზღაპრულ ფერებში გამოესახა ესა თუ ის სურათი. იქნებ დამტვერილი კიბისქვეშა მიწურმა და ჭიქა არაყმა შესძინა დაუოკებელი ფანტაზია, რომელმაც გონებაში ვეღარ დაიტია და ყველაფერი ეს შემდეგ ნახატებში აისახა.

ტფილისის ჯურღმულებში ჩაკარგული გენიოსი

ვინ იცის?

ნიკალას მშობლიურ მირზაანში მისულს, სადაც ფიროსმანისადმი მიძღვნილი ზეიმი ტარდება, მისი ნახატების წარმოსახვით გაცოცხლებული თეატრალიზებური სახეები მეგებება. აქ მიწის ყველა მონაკვეთი მხატვრის პიროვნებასთანაა დაკავშირებული. ირგვლივ ნიკალას სული ტრიალებს. რადგანაც მუზეუმის საგამოფენო სალონში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, მისი სურათები დროებით სიღნაღის ეროვნულ მუზეუმშია გადატანილი. მეც იქ მივდივარ, რათა კიდევ ერთხელ „შევხვდე“ ნიკალას და მისი ბრწყინვალე ხელოვნებით დავტკბე... ნახატების დათვალიერებისას ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ აი ახლა გამოვა ფუნჯით ხელში და პირადად მომიყვება სურათების შექმნის ისტორიას. ზეციური შთაგონებით შექმნილი ნამუშევრები ჩემს აღფრთოვანებას იწვევს. მხატვარმა ჭეშმარიტად ფასდაუდებელი განძი და საჩუქარი დაუტოვა თავის ხალხს, რითაც მთელ მსოფლიოს აჩვენა ქართველი კაცის განსაკუთრებული ტალანტი და უნარჩვევები, ამავე დროს სამუდამოდ უკვდავყო თავისი სახელი. საგამოფენო დარბაზს ამშვენებს მისი – „კახეთის ეპოსი“, „რთველი“, „თავადების ზეიმი მინდვრად“, „კალოობა“, „გოგონა საჰაერო ბუშტით“, „მებადური“, „ორი მუშა“, „მეეზოვე“, „ჩარდახიანი ურემი“, „კურტნიანი მუშა“ და სხვ.

ჩემთვის სულით ხორცამდე შემძვრელია, როცა ვაცნობიერებ, რომ მუზებში დავაბიჯებ და ფიროსმანის პერსონაჟებს მე კი არ ვათვალიერებ, არამედ ეს ცოცხალი სულიერი არსებები თავად მჭვრეტენ ჩემკენ მომართული მზერით. აღუწერელი განცდებით და ემოციებით დატვირთული ვტოვებ იქაურობას. თან მომყვება კმაყოფილებით აღსავსე მეხსიერების საგანძურში შემორჩენილი ზღაპრული სახეები, რომელიც კარგა ხანს გამყვება ისევ და ისევ გენიალური ნიკო ფიროსმანის წყალობით.

ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი (ნიკო ფიროსმანი) 1862 წლის 5 აპრილს დაიბადა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში. მამა – ასლან ფიროსმანაშვილი და დედა – თეკლე ტოკლიკიშვილი ზემო მაჩხაანიდან, სოფლის უბრალო გლეხები ყოფილან. მათ ნიკალას გარდა კიდევ ორი ქალიშვილი ჰყოლიათ. მამის გარდაცვალების შემდეგ 8 წლის ნიკალა ჯერ შულავერში, ხოლო შემდეგ თბილისში გადადის საცხოვრებლად. სასკოლო განათლება არ მიუღია.

სპეციალური სამხატვრო განათლებაც არ ჰქონდა. 1880-იან წლებში თვითნასწავლ გიგო ზაზიაშვილთან ერთად გახსნა ფერწერის სახელოსნო და აბრების შეკვეთებს იღებდა. 1890-94 წლებში სატვირთო მატარებლის მემუხრუჭე-კონდუქტორად მუშაობდა. მძიმე სამუშაო პირობებისა და ღია ცის ქვეშ ყოფნის გამო ნიკალა გაცივდა და ავად გახდა. იძულებული შეიქნა სამსახური მიეტოვებინა და საარსებო საშუალება ეძებნა. თავის თანასოფლელ დიმიტრი ალუღიშვილთან ერთად სავაჭრო მაღაზია გახსნა, მაგრამ აქაც ვერ იპოვა თავისი ადგილი.

სავაჭრო დუქანში დიდხანს ვერ ჩერდებოდა, დახლს მიატოვებდა და გულის გადასაყოლებლად სადღაც გარბოდა, რაღაც ზეციური ძალა თავისკენ ექაჩებოდა. მისი კომპანიონი და მეწილე ალუღიშვილი სულ მის ძებნაში იყო. ერთხელ უბნის ბიჭები ახალმოთიბულ ბალახს ჰყიდნენ. ნიკალამ ბალახი იყიდი, იღლიაში ამოიჩარა და დუქნის სხვენზე რის ვაი-ვაგლახით აიტანა, გაშალა და ზედ წამოწვა. დიდი ძებნის შემდეგ დიმიტრის, სხვენზე წამოწოლილმა ნიკალამ, ასეთი პასუხი გასცა: – სოფელში ვეღარ მივდივარ, ბალახზე წოლა მეამება და სოფლის მაგივრობას გამიწევსო.

მისგან ვერ გამოვიდა მესტამბე – ასოთამწყობი, ვერც მოჯამაგირე, ვერც მზარეული, ვერც რკინიგზელი, ვერც ვაჭარი, ვერც მიწათმოქმედი. დიახ, ეს ყველაფერი ძალდატანებითი იყო და ცხოვრების აუცილებლობით გამოწვეული. მას სულ სხვა რამ აწუხებდა და არ ასვენებდა. მან მძაფრად იგრძნო საღებავების მაგიური ძალა და მასში დაგუბებულმა გენიამ ვეღარ დაიტია და ნიაღვარივით გამოხეთქა. ამ მხრივ ნიკო ფიროსმანი ძალიან ახლოსაა და ენათესავება განუმეორებელ ვაჟა ფშაველას.

მხატვარმა საბოლოოდ დაიდო ბინა თბილისის მიწისქვეშეთში: სარდაფებში, დუქნებში, სირაჯხანებში და მედუქნეთა, სირაჯების, სოვდაგრებისა და ვაჭრების მხატვრად იქცა. მათ დავალებებს ასრულებდა. მისი ანაზღაურება საჭმელი და ჭიქა არაყი იყო. უნდოდა – ლუკმა პური, ჭიქა არაყი და თავშესაფარი. ეს იყო ყველაფერი რაც მას სჭირდებოდა! ყოველ დღე, ნაღვინევზე აშლილ დარდებს, ხატვით იქარვებდა. დიახ, მას, ვისაც სულს იქით არაფერი ებადა, არ ჰქონდა ფული, ოჯახი, სახლ-კარი, შეეძლო, თავშესაფარი და საზრდო მხოლოდ მხატვრობაში ეპოვა. მხატვრობით ამოევსო მარტოობის უფსკრული, სხვა დანარჩენზე უარი ეთქვა. ყაირათიანობა, თადარიგი და აწონ-დაწონვა მისი საქმე არ იყო. თავი მაინც რჩეულად მიაჩნდა, ამაყი იყო, უკადრებელს ვერავინ ჰკადრებდა. ყველას მიპატიჟებას არ ღებულობდა, გულდახურულ, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, მარტოკაცობას არ ღალატობდა. სიამაყის გამო ზედმეტ სახელად „გრაფი“ შეარქვეს.

ბატკანი და სააღდგომო მაგიდა

ხშირად ეუბნებოდნენ, რომ ოჯახს მოკიდებოდა, მაგრამ როგორ, როდესაც აბსოლუტურად არაფერი ებადა ცარიელ-ტარიელ, უსახლკარო კაცს. ის ხომ მხოლოდ მედუქნეების შეკვეთით ხატავდა ჭიქა არაყის საფასურად. ეს იყო მისი საქმიანობა: ნიკალა მათ დავალებას დაუზარებლად ასრულებდა. ხატვისა და სმის, სმისა და ხატვის გარდა აღარაფერი დარჩენოდა. ისიც სვამდე და ხატავდა, ხატავდა და სვამდა. ცდილობდა, ხასხასა ფერებით გადაეღეება რუხი სინამდვილე, დაკარგულიყო, ჩანთქმულიყო საკუთარ სურათებში. გაერღვია ხის უბრალო, სადა ჩარჩოებით შემოსაზღვრული მუშამბების სივრცე, ნახატები ექცია ცხოვრებად, ცხოვრება – ნახატებად....

ასე მოიხატა თბილისის (არა მარტო) თითქმის ყველა დუქნის, სამიკიტნოს, სირაჯხანის, სავაჭრო მაღაზიის კედლები და აბრები, უფასოდ შეკვეთილი სურათები. ასე იქმნებოდა შედევრები ხალხისგან, საზოგადოებისაგან იზოლირებულად და მალულად, ცნობიერებისა და აღიარების გარეშე. ამ დროს ნიკალას პიროვნება აუტანელ სიღარიბეს და გაჭირვებას განიცდიდა: ღილებაწყვეტილი, დახეული პიჯაკი და აგლეჯილლანჩიანი, ზონარშემორტყმული ფეხსაცმელი ეცვა. მაღალსა და გამხდარს, თვალები და ლოყები ჩასცვენოდა. ღრმადჩაკირულ სევდაში, შიშნარევი წუხილი გამოკრთოდა. აკანკალებულ ხელში თვითნაკეთი ფუნჯი ეკავა, რომელსაც სასწაულების მოხდენა შეეძლო. ხატვისთვის ყველაფერს იყენებდა: ხელოვნურ ტყავს (მუშამბას) ლინოლეუმს, მუყაოს, ქაღალდს, მინას, ხეს, თუნუქის ფირფიტებს, საქონლის ტყავსაც კი. იმ დროს ქვეყნიერებისთვის ჯერ კიდევ უცხო და აღმოუჩენელი ნიკალა იმალებოდა. იგი ხშირად ამბობდა: **„ოთხი ფიცარი და ერთი პეშვი მიწა ვისთვის დაუმადლებიათ, რომ მე დამამადლონ? ვირის კუდივით მოკლეა წუთისოფელი, დარდად არა ღირს!“**

მისი ამოყვანა ქუჩის უფსკრულიდან შეუძლებელი იქნებოდა და სამუდამოდ დაიკარგებოდა, თუ არა ის ადამიანები, ვინც ფიროსმანს და მასთან ერთად ყველა ჩვენგანს, სწორედ რომ სულზე მიუსწრო. პოლონელმა ძმებმა – კირილ და ილია ზდანევიჩებმა, ფრანგ მეგობართან ლე დანტიუსთან ერთად, არა მხოლოდ აღმოგვიჩინეს ნიკალა, არამედ სიცოცხლის ბოლომდე თავგამოდებით იბრძოლეს მისი თითოეული სურათის გადასარჩენად და მისი სახელის სადიდებლად.

ზდანევიჩები რომ არა, ალბათ, ფიროსმანი არ გვეყოლებოდა.

1912 წლის ზაფხულის დამდეგს, ვაგზლის მიდამოების სარდაფებში უცნობი მხატვრის ნამუშევრების ნახვამ სრულ გაკვირვებასა და შოკში ჩააგდო ძმები ზდანევიჩები და მათი ფრანგი მეგობარი. „ვიდექით ფენომენალური მოვლენის წინ... ჩვენ ვნახეთ ის, რაზედაც ოცნება არ შეგვეძლო“, – იგონებს კირილ ზდანევიჩი. ფიროსმანის რამდენიმე სურათი ძმებმა მედუქნეებისაგან ჩალის ფასად შეიძინეს და მოსკოვის გამოფენაზე გაიტანეს, რამაც საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. ამ მოვლენას გაზეთები გამოეხმაურნენ. და აი, აქედან იწყება ფიროსმანის გაცოცხლება და დღის სინათლეზე გამოტანა.

საინტერესოა ნიკალას სურათის – „არსენალის მთა ღამით“ ისტორია: 1913 წელს კირილ და ილია ზდანევიჩებმა მედუქნისგან 2 მანეთად შეძენილი ეს სურათი პოეტ ვლადიმერ მაიაკოვსკის აჩუქეს, პოეტმა იგი მეგობარს, საკუთარი შემოქმედების მუზას, ლილი ბრიკს გადასცა, ლილი ბრიკმა კი მოსკოვში სტუმრად მყოფ დას – ელზა ტრიოლეს და სიძეს, ფრანგ სიურრეალისტ – კომუნისტ პოეტს, საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეს – ლუი არაგონს. ასე იქცა „არსენალის მთა ღამით“ ჯერ ფრანგი პოეტის, ხოლო შემდეგ მისი მემკვიდრეების ნახევარსაუკუნოვან საუნჯედ და საგანძურად.

2007 წელს უკვე მერამდენე მეპატრონის მიერ, ევროპის უდიდეს „სოტბის“ აუქციონზე ჭიქა არყის საფასურად დახატული და ორ მანეთად შეძენილი სურათი – „არსენალის მთა ღამით“ სენსაციურ ფასად, მილიონ ექვსასი ათას დოლარად შეფასდა. მომდევნო პერიოდში მისი „მწყემსი“ და „შველი წყლის პირას“ ექვსასი ათას ფუნტ სტერლინგად და ნახევარ მილიონ დოლარად გაიყიდა.

მხატვრის სურათების შეგროვებასა და შემოქმედების პროპაგანდაში პოლონელ ძმებთან ერთად განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით დიმიტრი შევარდნაძეს, ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს, მოსე თოიძეს, გიორგი ლეონიძეს, მიხეილ ჭიაურელს...

„შესაძლებელია ერთ დღეს მის ნახატებში თვითნაბადი სიმდიდრე, ოქროს დაუმუშავებელი მადანი აღმოვაჩინოთ“, – იტყვის მოსე თოიძე.

„ჩემი აზრით, იგი ერთადერთი მხატვარი იყო, რომელმაც ნამდვილი ხალხური გადმოცემის სიცხოველით მოგვცა მთელი მე-19 საუკუნის ქართული ყოფა-ცხოვრება. აუხსნელ ფენომენად რჩება ჩემთვის ნიკოს შეუდარებელი ინტუიცია. მას აქვს ერთი სურათი „გიორგი სააკაძე“, რომელსაც შვინდის ფერით ამეტყველებული დროშა უკავია. საოცარია, საიდან ჰქონდა ამ ადამიანს ეროვნული ფერის ასეთი ცხოველური გრძნობა?.. ნიკო იყო მოსული, როგორც აუხსნელი ლეგენდა“, – დიმიტრი შევარდნაძე.

ოჯახის დღესასწაული

1916 წელს ილია ზდანევიჩმა თბილისში, თავისი მშობლების სახლში, ფიროსმანაშვილის ნახატების ერთდღიანი გამოფენა მოაწყო. ქალაქში დაარიგეს სპეციალური მოსაწვევი ბარათები. უამრავი დამთვალიერებელი მივიდა და ნიკალას შემოქმედებაზე გაიმართა ცხოველი კამათი, მსჯელობა. მოხდა მისი ნახატების სწორი და რეალური შეფასება.

იმავე წელს ნიკო ფიროსმანაშვილი მოინახულეს მხატვრებმა ლადო გუდიაშვილმა და მიხეილ ჭიაურელმა. აი, რას გვიამბობს ამის შესახებ მიხეილ ჭიაურელი: „დიდი ძებნის შემდეგ ნიკო ფიროსმანაშვილი ვიპოვეთ დიდუბეში, ნახევრად სარდაფში. ოთახში რომ შევედით, გაოცებულნი გავშეშდით. ნახევრად სიბნელეში პატარა სარკმელთან ნავთქურა ბუუტავდა. მასზე მინები ელაგა – მხატვარი მჭვარტლს აგროვებდა შავი საღებავისთვის. ჭვარტლით იყო მოფენილი მთელი ოთახი, ჰაერში ჭვარტლი დაფრინავდა. ნიკოც ჭვარტლში იყო გახვეული. ის დუმდა და დიდი ანთებული თვალებით გვიყურებდა. ბოლოს გონს რომ მოვეგეთ, გავუმხილეთ მოსვლის მიზეზი, მხატვართა კავშირის სხდომაზე გიწვევთ-თქო, ვუთხარით. გაუკვირდა: „მე კი მეგონა, ყველას დავავიწყდიო!“

ნიკალა მხოლოდ ერთადერთხელ ესწრებოდა მხატვართა თავყრილობას, სადაც მან ცნობილი სიტყვა წარმოთქვა: „...ავაშენოთ დიდი სახლი, რომ შევიყარნეთ ხოლმე, ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამოვარი, ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ მხატვრობაზე...“

ნიკო ფიროსმანაშვილი საზოგადოებამ თანდათან გაიცნო, მის მიმართ ინტერესი უკვე დიდი იყო. იგი ხალხის წიაღიდან მთელი ძალით შემოიჭრა ქართულ ხელოვნებაში და თან შემოიტანა სრულიად ახალი მიმართულება, ადამიანების ყოველდღიური ყოფა. მის აბსოლუტურად ყველა ნამუშევარში უდიდესი გულწრფელობა და ნიჭიერება მოჩანს. განსაკუთრებულ აღტაცებას და აღფრთოვანებას მისი ფერები იწვევენ. მის ნახატებში უმეტესად გადმოცემულია კახეთის და ტბილისის სიუჟეტები: „რთველი კახეთში“, „ბალო კახეთში“, „მწყემსები“, „დღეობა“, „დიდი მარხვა“, „პატარა გოგო, ბატებს რომ მწყემსავს“, „მამალი და კრუხი წიწილებით“, ესენი სოფლის ბუნების წარუშლელი სურათებია, ხოლო „ფუნიკულიორი“, „ორთაჭალის ლამაზები“, „მეარღნე“, „მეეზოვე“, „პატარა ბიჭი კინტო“, „ბორანი მალაკნებით“, „აქტრისა მარგარიტა“, „აღდგომის სუფრა“, „ბავშვი, რომელიც ყიდის ვირით შეშას“, „მეთარეები“, „კოჯრის გზა“, „კურტნიანი მუშა“, „ქალი წითელი ბუშტით“ და სხვა ტფილისის იერსახეს განასახიერებს.

საინტერესოა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფიროსმანის შემოქმედების მკვლევრის ეთერ შელიას მოსაზრება მის ნამუშევრებთან დაკავშირებით – მისი „შველი“, „წითელპერანგა მეთევზე“, „ძროხის მწველავი ქალი“ მოწითალო-მოყავისფრო ტონებით, მოცულობითი ფორმებით გოგენის შემოქმედების ტაიტურ პერიოდთან დგას ახლოს. „ბალო“, „ყვითელი ლომი“, „ჩარდახიანი ურემი“, „მეაქლემე თათარი“, „ლომი და მზე“ კი ვან გოგს ენათესავება.

ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნის აზრით ფიროსმანს თავის სიცოცხლეში 3000-მდე ნახატი აქვს შექმნილი, რომელთა უმრავლესობა უყურადღებობისა და აუტანელი პირადი ცხოვრების მიზეზით განადგურდა და დაიკარგა. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ 300-მდე ნამუშევარი, საიდანაც 146 სურათი დაცულია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, რაც თავისთავად უდიდეს ეროვნულ განძს წარმოადგენს.

ფიროსმანის მხატვრობის ლოგიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება მხატვრობის საყოველთაოდ აღიარებული ლოგიკისგან. მისი სურათები ზოგჯერ ამოუცნობ და ზოგჯერ ცნობიერ შთაბეჭდილებებს ტოვებენ. სწორედაც ამიტომაა შეუძლებელი მისი გამეორება. ფიროსმანივით რომ ხატო, ფიროსმანი უნდა იყო, მასავით გაიაზრო, დაინახო და აღიქვა.

მიუხედავად მძიმე და დუხჭირი პირადი ცხოვრებისა, მას არასოდეს ტოვებდა ადამიანური გრძნობები და განცდები, აღელვებდა ყველაფერი, რაც თავის გარშემო ხდებოდა. მას, ისე როგორც ყველა ნებისმიერ ადამიანს, შეეძლო - სიბრალული, სიძულვილი, სიყვარული...

1905 წელს თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა თეატრალური ჯგუფი „ბელ ვიუ“. მასში მონაწილე მეჯლისებისა და „მულენ რუჟის“ კანკანის მოცეკვავე არტისტები მთელი თავის განმავლობაში მართავდნენ მეტად საინტერესო სანახაობას. აქ გამოდიოდა და თავის გასაოცარ ხელოვნებას აჩვენებდა მშვენიერი მარგარიტა დე სერვი. ერთ-ერთ წარმოდგენას ნიკალა დაესწრო და უმალ მოიხიბლა მარგარიტა დე სერვით. წლებით უძრავად დალექილი ვნებები გაუცოცხლდა და 40 წელიწადს გადაცილებული მარტოხელა, კარჩაკეტილი, უსიხარულო გენიოსის ცხოვრებაში ცხოვრებაში ქალი შემოვიდა. მიუხედავად უდიდესი ყურადღებისა, რომელიც ნიკალამ საჩუქრად გაგზავნილი „მილიონი“ წითელი ვარდითაც გამოხატა, ეს გატაცება დიდხანს არ გაგრძელებულა, მარგარიტა დე სერვი საფრანგეთში დაბრუნდა, ნიკალა კი ისევ თავის ძველ სამყაროში დარჩა.

* * *

...ეს ამბავი 1969 წელს პარიზში, ლუვრში ნიკო ფიროსმანის ნახატების ერთთვიანი გამოფენის ბოლოს მოხდა. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორს, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს სანდომიანი მოხუცი ქალბატონი მიუახლოვდა და თავაზიანად გაეცნო: – მარგარიტა დე სერვი! ამირანაშვილს გაახსენდა, რომ ეს ქალბატონი ყოველდღე, ერთი და იგივე დროს მოდიოდა და „აქტრისა მარგარიტას“ პორტრეტთან საათობით ჩერდებოდა. „დიახ! ეს მე ვარ, ფიროსმანის მარგარიტა. თბილისში მე გავმართე კონცერტი კაფეშანტანის მაყურებლისათვის, რა დროსაც გავიცანი ნიკალა. ამის შესახებ მოგონებები 30-იან წლებში ფრანგულ ჟურნალშიც გამოვაქვეყნე, სადაც ვწერდი, რომ ფიროსმანის ურთიერთობა მარგარიტასადმი გულწრფელი და რაინდული იყო...!“ – აღნიშნა ქალბატონმა, შემდეგ „აქტრისა მარგარიტასთან“ ფოტოსურათი გადაიღო და იქაურობას სწრაფად გაეცალა. ამით, ალბათ, საბოლოოდ დასრულდა გენიალური ნიკო ფიროსმანის ცხოვრების კიდევ ერთი საგულისყურო ეპიზოდი.

როგორც ეტყობა, უკუღმართმა ბედისწერამ ასე ინება, რომ გარდა ნახატებისა, ნიკო ფიროსმანისგან აღარაფერი დარჩენილიყო, რადგან მისი პიროვნება ამქვეყანას უცნობად, ნახევარ სიმართლედ და მარადიულ ლეგენდად შემორჩენოდა. კიბისქვეშეთის სენაკიდან ავადმყოფი, მიუსაფერი, დაუძლურებული და ყველასგან მიტოვებული ნიკალა ისე გამქრალიყო, რომ ასავალ-დასავალი არ გვცოდნოდა, უცნობი ყოფილიყო მისი საფლავი. ეს 1918 წელს მოხდა, ნიკალა მაშინ 56 წლისა იყო. მას შემდეგ სრულიად საქართველო უშედეგოდ ეძებს ჩვენი დიდი მხატვრის განსასვენებელს!..

აუცილებელია, ითქვას: არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნიკალას შთამომავლები ჰყავს ელისაბედ ავალიშვილიალუღიშვილისაგან, რის შესახებაც ფართოდაა აღწერილი შორენა ლებანიძის წიგნში – „ეს მე ვარ – ფიროსმანი“.

გელა ქოქიაშვილი,
ქართული კულტურისა ამაგდარი, მეცნიერების დოქტორი, სიღნაღის საპატიო მოქალაქე.

10 წლის ხორნაბუჯელი ბიჭის ნახატებს ნიკალას შემოქმედების ელფერი დაჰკრავს

20 ნოემბერს ქალაქ დედოფლისწყაროს თამარ მეფის სკვერში გაიმართა ილია ჭავჭავაძის 185 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომლის ორგანიზატორი გახლდათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია.

ასოციაციის თავმჯდომარემ ვანო ნატროშვილმა ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ერის მამის ღვაწლსა და დამსახურებაზე ვრცლად ილაპარაკეს ნანა ჭიჭინაძემ, ნუნუ ცაკაშვილმა, თამარ მოძღვრიშვილმა, ინგა შიოლაშვილმა,ხათუნა აგლაძემ.

აღსანიშნავია, რომ საიუბილეო საღამოზე გამოიფინა სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლის ნიკიტა არზამასოვის ნახატები.

თვითნასწავლი, ნორჩი მხატვარი 5 წლიდან ხატავს. როგორც თავად ამბობს, მასზე დიდი გავლენა მოახდინა ფიროსმანის შემოქმედებამ.

ნიკიტამ განსაკუთრებული მადლობა მხარდაჭერისთვის დედას, ნინა არზამასოვას, დამრიგებელ მარიკა პოპიაშვილს და ხატვის მასწავლებელს რუსუდან კიკილაშვილს გადაუხადა.

მხატვრობა ხომ თავისებური პოეზიაა და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს დამთვარიელებელს...

10 წლის ნიკიტას ნამუშევრებმა შესანატრი შთაბეჭდილება მოახდინეს საიუბილეო საღამოს მონაწილეებზე.

მარიკა პოპიაშვილი

ხელისუფლებას ვთხოვთ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომელიც მუდამ მხარს უჭერს მოწინავე იდეებსა და საზოგადოების სამსჯავროზე გამოაქვს საჭირბოროტო საკითხები, 25 ნოემბერს გამოქვეყნდა არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოს ვახტანგ დავითაიას მეტად აქტუალური მიმართვა ქვეყნის ხელისუფლებისადმი, რომელიც ეხება გამორჩეული მეფის, დავით აღმაშენებლის ძეგლსა და მახათას მთაზე არსებულ პანთეონს.

დღეს, ნაცების ხელისუფლების დანაშაულებრივად „მოკლული“ კულტურის აღდგენა მიმდინარეობს. სასიკეთო ძვრებია ქვეყანაში კულტურის ყველა სფეროს მიმართულებით. იმედია ხელისუფლება გაითვალისწინებს საზოგადოების აზრს და ერის აღმაშენებელი მეფის მონუმენტი დაიბრუნებს თავის ღირსეულ ადგილს.

რაც შეეხება „მახათას პანთეონის“ საკითხს, არა მხოლოდ ბატ. ვახტანგ დავითაია გამოთქვამს წუხილს იქ არსებული ქაოტური და პანთეონისთვის მიულებელ წესებზე. საფლავთა ქვების ერთფეროვნება მართლაც ქმნის „ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების“ შთაბეჭდილებას. მიმაჩნია, რომ თანამეცხედრეთა ერთად დაკრძალვა, (ქმარი და მეუღლე) ჭეშმარიტად ქრისტიანული და მისაღებია. თუმცა, პანთეონი არ უნდა იქცეს საოჯახო სასაფლაოდ...

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის პრემიების ლაურეატი.
ღირსების ორდენოსანი. ქ. სენაკი

ევროკავშირში კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების პრობლემები

მოახერხებს ევროპა რუსეთის საწვავზე დამოკიდებულების შეზღუდვას?

(მესამე გვერდიდან) ამგვარ, კომპრომისულ ემბარგოს მხარი დაუჭირა აშშ-მა, რომელსაც ამ ეტაპზე არ სურს რუსული ექსპორტის მკვეთრი ვარდნა, რათა თავიდან აიცილოს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების მკვეთრი ზრდა. ევროკავშირის დანარჩენი წევრი ქვეყნები, სავარაუდოდ, ვერ შეძლებენ ადრინდელი რაოდენობით შეიძინონ შეზღუდვების გამო გაძვირებული, საზღვაო ტანკერებით შეტანილი რუსული ნავთობი, თუმცა რუსული ნავთობის ექსპორტი, სავარაუდოდ, გადამისამართდება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი და ჩინეთი.

პოლონეთი, ლიტვა და ესტონეთი თვლიან, რომ ფასის ზედა ზღვარი, ბარელზე 60 დოლარი – რუსეთს კვლავ ძალიან დიდ შემოსავალს დაუტოვებს, რადგან მისი თვითღირებულება მხოლოდ 20 დოლარია. თუმცა, საპირისპირო არგუმენტის მქონეები ამტკიცებდნენ, რომ აუცილებელია რუსეთს ჯერ კიდევ ჰქონდეს საკმარისი სტიმული წარმოების შესანარჩუნებლად, რათა თავიდან იქნას აცილებული ენერგომომარაგების გლობალური შეფერხება – მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისი. JP Morgan-მა ევროკავშირი გააფრთხილა, რომ ნავთობის ფასმა შეიძლება მიაღწიოს „სტრატოსფერულ“ 380 დოლარს ბარელზე, თუ რუსეთი, ბრიუსელიდან ფასის ზღვარის დაწესების საპასუხოდ, შეამცირებს ნავთობმოპოვებას დღეში 5 მილიონი ბარელით, ხოლო 3 მილიონი ბარელით შემცირებამ, შესაძლოა ევროპული ნავთობის – Brent-ის ფასი ბარელზე 190 დოლარამდე გაზარდოს.

მეორეს მხრივ, კვიპროსი, სამხრეთი და მალტა, რომლებსაც აქვთ გადაზიდვის მძლავრი საშუალებები და საპორტო-სატერმინალო ინდუსტრია, თვლიან, რომ ლიმიტი ძალიან დაბალია და ითხოვენ კომპენსაციას ბიზნესის დაკარგვისთვის, ან უფრო მეტ დროს ემბარგოს გეგმის განსახორციელებლად.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ რუსეთი თავისი ნავთობის დაახლოებით 70-85%-ის ექსპორტს ახორციელებს ტანკერებით, და არა მილსადენებით, და ნავთობის ფასის ზედა ზღვარი, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ამ საზღვაო გადაზიდვების შეზღუდვას, სადაზღვევო და გადაზღვევის ფირმების რუსულ ნედლ ნავთობთან არ დაშვებას მთელ მსოფლიოში იმ შემთხვევაში, თუ ის გაიყიდება ფასის ზღვარს ზემოთ. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოს მსხვილი გადამზიდავებისა და სადაზღვევო ფირმების უმეტესობა დაფუძნებულია სწორედ რუსეთისადმი სანქციების ინიციატორ, G7-ის ჯგუფის ქვეყნებში.

გაზის ფასის დადგენის სირთულეები

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ევროკავშირის მიზანი იყო სწრაფად შეემცირებინა დამოკიდებულება რუსულ წიაღისეულ საწვავზე. ამასთან, ფასების ცვლილებაზე ბრიუსელი თავს იკავებდა. საბოლოოდ, ბლოკმა მოახერხა რუსული გაზისა და ნავთობის მოხმარების შეჩერება უფრო სწრაფად, ვიდრე ამას ბევრი ოფიციალური პირი და ანალიტიკოსი ელოდა, მაგრამ ენერგომატარებლებზე ფასების ზრდის წინააღმდეგ ბრძოლის ზომებმა ევროკავშირის დედაქალაქებში ღრმა განხეთქილება გამოიწვია. ა/წლის ნოემბრის ბოლოს, ბრიუსელის მიერ გამოთქმული წინადადება საბითუმო გაზის ფასის 275 ევროს ოდენობით (ერთი მეგავატ/საათში) შეზღუდვის შესახებ, კრიტიკოსებმა "ხუმრობად" შეაფასეს, რომლებმაც განაცხადეს, რომ ასეთი ცვლილება წარმოუდგენელია ზაფხულში გაზის ფასების ზრდის შემდეგ. ევროკავშირის ლიდერები ემზადებიან სამიტისთვის დეკემბრის შუა რიცხვებში, სადაც ისინი აპირებენ დაასრულონ მუშაობა ენერგეტიკულ პაკეტზე, რომელიც ასტაბილურებს გაზის ფასებს და მიჩოდებას. რა არის ბრიუსელის გაზის ომის დროს ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ელემენტები და რამდენად წარმატებული იქნება ისინი? რას აკეთებს ევროკავშირი რუსული გაზისგან თავის დასაღწევად?

2022 წლის მაისში ევროკავშირმა გამოაქვეყნა 210 მილიარდი ევროს გეგმა სახელწოდებით RePowerEU, რომელიც დააჩქარებს განახლებადი ენერგიის გავრცელებას, მრეწველობას უფრო ენერგოეფექტურს გახდის და გაზრდის შიდა წიაღისეული საწვავის წარმოებას. ასევე წარმატებული იყო გაზის მოთხოვნის შემცირების მცდელობა მას შემდეგ, რაც ენერგეტიკის მინისტრებმა ხელი მოაწერეს ნებაყოფლობით მიზანს ივლისში ბლოკში მოხმარების 15 პროცენტით შემცირების შესახებ.

რატომ ცდილობდა ევროპა გაზის ფასის ლიმიტზე შეთანხმებას? ევროკავშირის უთანხმოება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შემცირდეს გაზისა და ელექტროენერგიის მაღალი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია რუსული ექსპორტის შემცირებით, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

თუმცა, ევროპას შეიძლება კვლავ შეექმნას 30 მილიარდი კუბური მეტრის გაზის დეფიციტი მომავალი ზაფხულში გაზსაცავების შევსების პერიოდში, თუ რუსეთი შეაჩერებს დასავლეთში მილსადენებით მიწოდებას და ჩინეთის მოთხოვნა თხევად ბუნებრივ აირზე გაიზრდება, თანაც მოსკოვი გააუქმებს კორონავირუსულ შეზღუდვებს. რუსეთიდან მილსადენი გაზი ადრე ევროკავშირის მიწოდების დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენდა, მაგრამ დღეს 8 პროცენტამდე შემცირდა. საიდან იღებს ევროპა გაზს?

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა დაიწყეს წელიწადში 155 მილიარდი კუბური მეტრის რუსული მილსადენის გაზის თანდათანობით ჩანაცვლება. ალჟირთან, აზერბაიჯანთან, ეგვიპტესთან და შეერთებულ შტატებთან გაფორმებულმა ახალმა გარიგებებმა ბრიუსელს „მოუტანა“ ამ ქვეყნებიდან 24 მილიარდი კუბური მეტრით მეტი გაზი მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში, ვიდრე იღებდა მათგან 2021 წელში.

დასკვნა

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ევროკავშირი მიზნად ისახავს 2027 წლისთვის მთლიანად შეზღუდოს რუსულ წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულება. ამ დროისთვის, ბლოკმა გაზარდა რუსული თხევადი გაზის ტანკერებით მიღება დაახლოებით 50 პროცენტით. ბრიუსელი ასევე აწარმოებს მოლაპარაკებებს ნორვეგიასთან გაზმომარაგების გაზრდაზე, რომელიც ახლა ევროპის გაზის ყველაზე დიდ მიმწოდებელს წარმოადგენს. ევროკავშირის მინისტრები ახლოს არიან, რომ შეთანხმდნენ ე.წ. „მესამე საგანგებო პაკეტზე“, ენერგეტიკული ხარჯების შესამცირებლად.

წინასწარ შეთანხმებული ზომები მოიცავს ორი ახალი გადასახადის შემოღებას - ერთი მიმართულია განახლებადი ენერგიის მომწოდებლებზე, რომლებიც ელექტროენერგიას ყიდიან და რაც დაკავშირებულია გაზის მაღალ ფასებთან; და მეორე - ნავთობისა და გაზის მწარმოებლების მოგებაზე. წევრი ქვეყნების ეროვნულმა მთავრობებმა უკვე ხელი მოაწერეს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაბამის ცვლილებებს და უნდა გამოყონ მობილიზებული თანხები მომხმარებლებისთვის და ბიზნესებისთვის. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტების მოსაზრებით, გაზრდილი ტარიფების მობილიზება რთული იქნება და ზოგიერთ წევრ ქვეყანაში აკრეფილი გადასახადები შეიძლება არ იყოს დიდი.

ევროკავშირის ენერგეტიკის მინისტრების შეხვედრა ა/წლის 13 დეკემბერს დაინიშნა. დიპლომატები შიშობენ, რომ გარიგებაზე შეთანხმება რთული იქნება.

ზურაბ გარაყანიძე,
ეკონომიკის დოქტორი

ტერორისტულ სახელმწიფოსთან რაიმე შეთანხმება შეუძლებელია

უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ ბუდაპეშტის მემორანდუმის ხელმოწერის წლისთავზე რუსეთის კიდევ ერთი მასიური სარაკეტო თავდასხმა უკრაინაზე ცხადყოფს, რომ ტერორისტულ სახელმწიფოსთან რაიმე შეთანხმება შეუძლებელია.

უკრაინის სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ როდესაც ერთი ტერორისტი ხალხის ცხოვრების დესტაბილიზაციას ახდენს, ტერორის შეჩერება საერთო ამოცანაა. ზელენსკიმ ასევე განაცხადა, რომ დღევანდელი სარაკეტო შეტევით რუსეთმა ბუდაპეშტის მემორანდუმის ხელმოწერის კიდევ ერთი წლისთავი „აღნიშნა“ – დოკუმენტი, რომლის ბედი იძლევა პასუხს რუსეთის შესახებ დღევანდელ ბევრ კითხვაზე.

„მხოლოდ რუსეთის ტერორისტული შესაძლებლობების დემონტაჟი, მხოლოდ მთელი ჩვენი ტერიტორიის გათავისუფლება და მხოლოდ მკვლელების პასუხისგებაში მიცემა შეძლებს მშვიდობის მოტანას. მჯერა, რომ ჩვენ ამას მივაღწევთ“, – აღნიშნა ზელენსკიმ.

პუტინი ქერჩში ჩავიდა

რუსეთის პრეზიდენტი ქერჩში ჩავიდა და დაზიანებული ხიდით დაინტერესდა, რომელიც ანექსირებულ ყირიმის ნახევარკუნძულსა და რუსეთს აკავშირებს.

რუსული მედიის ცნობით, ვლადიმერ პუტინი მშენებლებს გაესაუბრა, რომლებიც ოქტომბერში აფეთქების შედეგად დაზიანებული ხიდის აღდგენაზე მუშაობენ.

რუსეთმა ქერჩის ხიდზე მომხდარ აფეთქებაში უკრაინა დაადანაშაულა. ოფიციალურმა მოსკოვმა 8 ოქტომბერს ანექსირებულ ყირიმში მომხდარ აფეთქებას უკრაინის ენერგეტიკულ ობიექტებსა და სხვა საკვანძო ინფრასტრუქტურაზე თავდასხმების სერიით უპასუხა. პარალელურად, გავრცელდა ცნობა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს, რომლითაც იზრდება იმ ტერიტორიების სია, სადაც საპროტესტო აქციები იკრძალება.

საპროტესტო აქციების გამართვა აიკრძალება ისეთ ადგილებთან ახლოს, როგორიცაა: სამთავრობო შენობები, უნივერსიტეტები, სკოლები, ეკლესიები, აეროპორტები და პორტები, რკინიგზის სადგურები და სასიცოცხლო ინფრასტრუქტურა.

სიფრთხილე თუ უკრაინის განირვა?!

აშშ-მა ფარულად შეცვალა Himars-ის სარაკეტო სისტემები, რათა უკრაინამ ის რუსეთის მიმართულებით რაკეტების გასაშვებად ვერ გამოიყენოს, – ინფორმაციას ამის შესახებ გაზეთი **The Wall Street Journal**-ი ამერიკელ ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით ავრცელებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ბაიდენის ადმინისტრაციის მხრიდან ეს სიფრთხილის ზომაა, რომელიც აუცილებელია რუსეთთან უფრო ფართო ომის რისკის შესამცირებლად.

კერძოდ, აშშ შიშობს, რომ უკრაინამ შესაძლოა აღარ შეასრულოს დაპირება, რომ არ დაარტყამს რუსეთის ტერიტორიას ვაშინგტონის მიერ მოწოდებული იარაღით. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა თავი შეიკავა უკრაინისათვის შორი მანძილის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების მიწოდებისგან, Himars-ის მოდიფიცირება უზრუნველყოფს, რომ უკრაინა ვერ გამოიყენებს ამ სისტემას შორ მანძილზე მოქმედი საბრძოლო მასალის გასაშვებად, თუ კიევი ასეთ რაკეტებს სხვა სახელმწიფოების მეშვეობით შეიძენს.

გაზეთი **The Wall Street Journal**-ი აღნიშნავს, რომ პენტაგონმა უარი თქვა კომენტარის გაკეთებაზე იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც აშშ-ს ოფიციალური პირების თქმით, მათ აღჭურვილობასა და პროგრამულ უზრუნველყოფას ეხება.

აი, რა შეესაბამება უკეთილშობილეს ადამიანურ თვისებებს!



აკადემიკოსი როინ მეტრეველი 83 წლისაა!

1965 წლის შემოდგომაზე დედაუნივერსიტეტის 105-ე აუდიტორიაში ერთმა ასპირანტმა დისერტაცია დაიცვა. ამ დაცვას როგორც სტუდენტი-ჟურნალისტი ვესწრებოდი და ინტერვიუ ჩამოვართვი ისტორიის ფაკულტეტის მაშინდელ ლეგენდარულ დეკანს, პროფესორ შოთა მესხიას, რომელმაც იწინასწარმეტყველა: ეს ამ ახალგაზრდის პირველი წარმატებაა და არა უკანასკნელიო...

მალე ამ დაცვას მოჰყვა ამ დისერტანტის და მისი მეგობრის – შოთა ბადრიძის წიგნი, რომელიც პირველად (!!!) აცნობდა იმდროინდელ ქართველ საზოგადოებრიობას ცხოვრებას და ღვაწლს დიდი ექვთიმე თაყაიშვილისა, რომელიც ქართულმა ეკლესიამ შემდგომ წმინდანად შერაცხა.

მას შემდეგ 55 წელი გავიდა. მაშინდელ დისერტანტს, ახლა უკვე აკადემიკოს როინ მეტრეველს დღეს 83 წელი შეუსრულდა.

გოლო წლეგი მან უმშვენიერესი წიგნების გამოცემით აღნიშნა. მათ შორის, ნაშრომები, რომლებიც რუსთაველის ეპოქას ეძღვნება და რომელთა გაცნობა არამარტო სასარგებლოა, განსაკუთრებით ახალთაობისთვის, არამედ დიდად საამაყოც.

ახლა ჩვენ ისეთ ასაკში ვართ, ზომიერების გადაჭარბება არ გვეკადრება. ამიტომ ნურავინ ჩამითვლის გადაჭარბებად იმას, რასაც გაგედულად ვიტყვი: გ-ნი როინ მეტრეველი სრულიად უნიკალური მოვლენაა ქართულ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ კულტურის სივრცეში.

უაღრესად გამორჩეული, ნაყოფიერი და ხელხვავიანი მეცნიერი, დიდი ივანე ჯავახიშვილის და მისი ერთობ პატივსაცემი კოლეგების, მათი მოწაფეების საქმის არა მარტო გამგრძელებელი, არამედ ავტორიტეტული ლიდერი; ისტორიკოსთა არაერთი თაობის აღმზრდელი, გზის გამკვალავი და მხარდამჭერი.

დიდ ირაკლი აბაშიძესთან ერთად, პირველი ქართული ენციკლოპედიის მთავარი მესაძირკვლე, მეცნიერ-შემოქმედთა ამ განუმეორებელი ჯგუფის თავკაცი.

დედაუნივერსიტეტის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული რექტორი. უმძიმეს პერიოდში, როცა საქართველოში შუქი, წყალი, გათბობა სანატრელი იყო, როცა „დროული ხელფასის“ უბრალო ცნებაც კი მწარენარევ ღიმილს იწვევდა, უნივერსიტეტში სწავლა ერთი (!!!) დღითაც არ შეწყვეტილა. ცალკე თემაა, რის ხარჯზე კეთდებოდა ეს. რომ არა თავდადება პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა კოლექტივისა, რომელსაც ზვიად გამსახურდიას თაოსნობით სათავეში ჩაუდგა და შემდგომი 13 წლის მანძილზე თავკაცობდა პროფესორი როინ მეტრეველი, დედაუნივერსიტეტი თავზე „დაენგრეოდა“ ქვეყანას. და რაც არ უნდა იქირქილოს ავმა, ბოროტმა და „დაუნახავმა“ ენამ, გამიზნულად რა ცილიც არ უნდა დასწამოს მავანმა, ამ დამსახურებას ვერავინ წაართმევს საუნივერსიტეტო ცხოვრების ამ ავტორიტეტულ და ნიჭიერ ორგანიზატორს.

...1972 წლის ოქტომბრის დასაწყისში, საზოგადოებრივ არენაზე მოქმედი, 33 წლის უაღრესად პერსპექტული სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არენაზე გამოსული ახალგაზრდა თაობის ლიდერად ითვლებოდა და რესპუბლიკის სავარაუდო ხელმძღვანელად მოიაზრებოდა, ინტრიგების მეშვეობით და გამოკვეთილად სუბიექტური გადაწყვეტილებით ჩამოაშორეს პოლიტიკურ სცენას. იმ პერიოდში ზოგიერთმა არაკაცმა უკადრებელიც კი იკადრა, შემდგომაც არაერთგზის დაუმსახურებლად ატკინეს გული, მაგრამ არ მახსოვს ახალგაზრდა როინ მეტრეველს დაეკარგოს წონასწორობა, ოდნავ მაინც ჩრდილი მიეყენებინოს თავისი ბიოგრაფიისთვის. უფრო მეტიც, მავანისთვის პასუხის გაცემის არაერთი მსურველი თავად მეტრეველმა დაამუხრუჭა, რათა საბაბი არ მიეცა ქვეყნის სათავეში მოსული ჯგუფის ზოგიერთი „ენთუზიასტისთვის“ ანგარიში გაესწორებინა განსაკუთრებით გამორჩეული „როინისტისთვის“.

ამ „მომენტს“ იმიტომ ვიხსენებ, რომ დავაოკო ზოგიერთი ჭკუასუსტი თუ ცხელთავა ტიპაჟი, რომელსაც ზოგჯერ, დღესაც კი, წინ უსწრებს ენა, თუმც არ ყოფნის ასაკი, ცოდნა-განათლება, გამოცდილება და, „უარგონით“ რომ ვთქვათ, კაცობა – „ჭრას და კერროს“ ის ეპოქა, ის დრო, ის საქმეები და იმდროინდელი პერსონების ნაღვაწი.

სამართალმა გვიან, მაგრამ, როგორც იტყვიან, მაინც ჭამა პური. და ეს, უწინარესად, გამოიხატა იმ მეცნიერულ პროდუქციაში, რომელიც ასზე მეევრად მეტ მცირე თუ სქელტანიან წიგნს, უამრავ პუბლიკაციას ითვლის და რომელთა გარეშეც მომავალში წარმოუდგენელია ქართული ისტორიოგრაფია.

რამდენიმე წლის წინ, როცა საპატრიარქოს უნივერსიტეტში შეკრებილმა ნაღებმა საზოგადოებამ მეტისმეტად თავმდაბლურად, მაგრამ ღირსეულად აღნიშნა 75 წლის აკადემიკოსის დამსახურება, სასიამოვნოდ გაგაოცებდათ მისი მოწაფეების გულწრფელი გამოსვლები და შეფასებები. სწორედ მის წიგნებს, პუბლიკაციებს და მისი აღზრდილების საქმიანობას ვთვლი პირადად მე, იმ „სამართლის ქმნად“, რაც არა და არ მოხდებოდა, რომ არა 1972 წლის ოქტომბრის დასაწყისში დამთავრებული პოლიტიკური კარიერა და „ახალი ცხოვრების“ დაწყება.

როინ მეტრეველის ობიექტური ბიოგრაფია, საქმიანობა იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რა შეუძლია ნიჭს, შრომისმოყვარეობას, სულიერებას, უკეთილშობილეს ადამიანურ თვისებებს, იმის მიუხედავად, რომ ძალიან ადრე – სიყმაწვილეში დაკარგა საამაყო მამა და არცთუ დალხენილ პირობებში იზრდებოდა დედისერთა ბიჭი. დიახაც, რომ საოცარმა დედაშვილობამ და საკუთარმა ღირსებამ საზოგადოებას მისცა ნამდვილი მოქალაქე, ოჯახს – სამაგალითო მეუღლე და მამა, საქართველოს ისტორიას – ერთობ კომპეტენტური მკვლევარი, ეროვნულ აკადემიას საამაყო წევრი და ვიცე-პრეზიდენტი, საახლობლოს – უღალატო და ერთგული მეგობარი.

ამ „მონოლოგის“ გაცნობის შემდეგ, ჩემი მრავალრიცხოვანი სამეგობრო-სანაცნობო წრისთვის ნათელი უნდა იყოს, რატომ მიყვარს და ვამაყობ ჩემი მეგობრით.

გაუმარჯოს როინ მეტრეველს!

იმ 83 წელს გაუმარჯოს, რომლითაც 2022 წლის 7 დეკემბერს აღინიშნება მისი განვლილი ერთობ შინაარსიანი ცხოვრების ეს მონაკვეთი.



დღეგრძელობა არ მოაკლდეს მას და გევრჯერ გაეხარებინოს ქართველი საზოგადოება უმშვენიერესი წიგნებით.

ნუგზარ ფოფხაძე

ფარსანს ლაზი

ეძღვნება ფაზისის აკადემიას

(პრეზიდენტი ბატონი გია კვაშილავა)

წიგნში „საქართველოს მეფეები“ (აკად. მარიკა ლორთქიფანიძე, აკად. როინ მეტრეველი) ვკითხულობთ: „ხოსროს (სპარსეთის შაჰს) ვერაგული გეგმა ჰქონდა გუბაზისა და ეგრისელების გასანადგურებლად: გუბაზის მოკვლა, ეგრისელების მშობლიური მიწიდან აყრა და თავისი ტომების ჩასახლება (ეგრისში). ირანის შაჰმა გუბაზის მოკვლა დაავალა ლაზ დიდებულს, ფარსანსს, რომელსაც დიდი ხნის მტრობა ჰქონდა გუბაზ მეფესთან, მაგრამ ფარსანსმა დაივიწყა პირადი დამოკიდებულება მეფესთან და გუბაზს აცნობა ყველაფერი.“

- - - - - - - - - - - - - - - - - -

მაშინ, როცა ეგრისის ცას
დაემუქრა განსაცდელი,
დუნიაზე არც ვის ესმა
ჯერთ ასეთი განაჩენი.
ოლქად გახდომას მეტობდა
მოეგრის ქურქში გახვეული
ანუშირვან ხოსროვ შაჰის
ჩანაფიქრი ამაზრზენი:
ლაზთა ირანს განსახლება,
ლაზეთს სპარსთა ჩასახლება,
ჰონტოს ზღვის დამუნათება,
ეგრისელთა საცხოვრისის
სპარსთა მიწად გადაქცევა.
ტოპონიმთა ჩანაცვლებით
საკუთრების გამუარება!..

ამ მზაკვრობას ერთი რამით
სჯირდებოდა განსრულება —
რომელიმე ლაზის მიერ
გუბაზ მეფის აღსრულება!

სამეფოში, საზოგადოდ,
მეფეს, ეგელას ჰყავდა მტერი
და, მათ შორის, გუბაზ მეფეს
— უძლეველი ოპონენტი:
ბრძენი, ქველი, ენამჯეკრი,
მეფის ოპოზიციის და
საკუთარი ჰოზიციის
კვერთხის შეურეველად მჯერი!

დაიბარეს სპარსელებმა
გუბაზ მეფის ოპონენტი,
სცადეს მისი გაბრუება
დაჰირებით ათასფერით...
მისვდა ფარსანს ეგრისელი —
ლაზი მეფის ლაზის ხელით
მოკვლა იეო განაღები,
მტრის მზაკვრული გზის გამღები,
მის წისქვილზე წყლის დამსხმელი.

ამიტომაც მეფის ტახტწინ
წარდგა არა მჯრელი წვეტით,
წარდგა სიტყვით ენამჯეკრით,
სიტყვით — ქვეყნის გადამრჩენით:

— მე გახლავარ, მეფეე, შენი
მტერი დაუძინებელი.
მტერს კი როდი უხარია
სიცოცხლე და სიძლიერე
მისი, ვისიც არის მტერი.

მაგრამ რადგან შენი მოკვლა
მოასწავებს ლაზთა კვდომას
და ეგრისელთა სამეფოს
უეგრისელებოდ ყოფნას,
მიათვალე ამ ჩემს ნებას
შენი დიდხანს კარგად ყოფნა!
იცოდე, რომ დაუგეგმავთ:
სპარსთა უნდათ შენი მოკვლა.

ასე სძლია ჰირად მტრობას
ფარსანს ბრძენმა, მაღლად მხედმა.
გუბაზ მეფის გადარჩენით
ვინ იცის, რის გადამრჩენმა!..

ქეთევან გოდერძიშვილი

ენათმეცნიერი-ონომასტიკოსი,
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.

◎ ლეგიონერი

ბურჯანაძის 13 ქულა

იტალიის სერია A-ს მეცხრე ტურში გექა გურჯანაძის „რეჯანა“ „ტრიესტეს“ დაუპირისპირდა და 79:84 დამარცხდა, ქართველ კალათბურთელს კი იტალიაში გადასვლის შემდეგ საუკეთესო თამაში ჰქონდა.

გურჯანაძემ 23 წუთში 13 ქულა, 7 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. მან 4-დან 1 ორქულიანი, 7-დან 3 სამქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

რეჯიო ემილიელებს ანდრეა ჩინჩარინიმ ულიდერა, რომელმაც 20 ქულა და 16 პასი დააგროვა, მაგრამ საკუთარი გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა.

„რეჯანა“ 2 მოგებით და 7 წაგებით სატურნირო ცხრილში მე-14 ადგილზეა და მომდევნო ტურში 11 დეკემბერს „ოლიმპია მილანოს“ სტუმრად დაუპირისპირდება.

◎ ყატარი – 2022

სტატუსის შესაბამისად

დაიწყო პლეი-ოფები და ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. ყოველ შემთხვევაში, პირველ, მეორე და მესამე დღეებში გამართული მერვედფინალების დავარცხნილი შედეგები მოწმობს, რომ სიურპრიზების ლიმიტი ამოიწურა, თუმცა იბადება კითხვა: როდემდე?

არგენტინა – ავსტრალია 2:1

ლეო მესიმ კარიერაში მე-1000(!) მატჩი 779-ე გოლით აღნიშნა. მართალია, მისი გუნდი მთლიანობაში დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ბოლო წამებზე მეკარე მარტინესს უნდა უმადლოდეს, ბრძოლა დამატებით დროში რომ არ გაგრძელდა, იქ კი ვინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა. მეოთხედფინალში სამხრეთამერიკელები ნიდერლანდებთან კლასიკურ დუელს გამართავენ. ნარინჯისფერებმა აშშ დაიბრიყვეს – 3:1. ინგლისი – სენეგალი 3:0, საფრანგეთი – პოლონეთი 3:1, ხორვატეთი – იაპონია 1:1 (პენალტებით 3:1), ბრაზილია – კორეა 4:1. აზიური ზღაპარი ბალკანელებმა დაასრულეს, თანაც ჩვეული სცენარით – საფეხბურთო ლატარიის მოგებით, როცა მეკარე ლივაკოვიჩმა 3 დარტყმა მოიგერია, ნეიმარი და კამპანია კი კვლავ დაუნდობელია და მორიგი სპექტაკლისთვის განგვაწყობს ხორვატებთან.

◎ ორიოდე სიტყვით

ბატუტზე ხტომა

მსოფლიოს ჩემპიონატი. სოფია. ახალგაზრდები. **ოქრო.** ნინო ქორიძე. ვერცხლი. სინქრონული ხტომები. ანანო აფაქიძე და მარიამ რაგიმოვა.

პარაფარიკაობა

ევროპის ჩემპიონატი. ვარშავა. რაპირა. „ბ“ კატეგორია. **ოქრო.** ირმა ხეცურიანი. მან ერთბაშად 9(!) მეტოქე დაამარცხა. სულ ქართულმა დელეგაციამ პოლონეთის დედაქალაქში 4 მედალი მოიპოვა.

აკრობატიკა

გრან პრი. პოლონეთი. 12-13-წლამდელები. გოგონათა წყვილები. ვერცხლი. მარიამ იმნაძე, თამარ წიკლაური. შერეული წყვილები. ბრინჯაო. ალექსანდრე ბულაშვილი, ანანო ხელაძე.

თავისუფალი ჭიდაობა

მსოფლიოს თასი. აშშ. 10-11 დეკემბერი. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა. ბექა ბუჯიაშვილი (57), თეიმურაზ ვანიშვილი (61), ბექა ლომთაძე (65), გიორგი ელბაქიძე (70), გიორგი სულავა (74), ვლადიმერ გამყრელიძე (79), ტარზან მაისურაძე (86), მირიან მაისურაძე (92), გივი მაჭარაშვილი (97), სოლომონ მანაშვილი (125).

სულ გუნდურ ფორუმში 6 ქვეყანა იასპარეზებს, ჯვაროსანთა მეტოქეები ჯგუფში კი მასპინძლები და მონღოლები იქნებიან.

ჭადრაკი

წრიული **საერთაშორისო ტურნირი.** კალკუტა. 4 ქვეყნის 10 წარმომადგენელი. **ვერცხლი.** ნანა ძაგნიძე. ქართველი დიდოსტატი მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლით ჩამორჩა მსოფლიოს უკრაინელ ექს-ჩემპიონს ანა უშენინას (6,5 ქულა თითოეულს).

რაგბი

ევროპის სუპერთასი. თბილისი. ნახევარფინალი. შავი ლომი – იბერიანზი (ესპანეთი) 41:9. მასპინძელთა 6 ლეღოდან 3-ის ავტორია **ტაბუცაძე.** ფინალური მატჩი 17 დეკემბერს თბილისის „ავჭალის“ სტადიონზე გაიმართება. მეორე წყვილში ისრაელის თელ ავივ ჰითმა პორტუგალიაში ლუზიტანუში დაამარცხა.ასე რომ, სატიტულო ბრძოლა მოქმედი ჩემპიონი პირველი ქართული ფრენჩაიზის სარბიელზე მოეწყობა.

7-კაცა ღია საერთაშორისო ტურნირი. დუბაი. **ოქრო.** საქართველო.

ფეხბურთი

კრისტალბეთ ეროვნული ლიგა. ბოლოტური. თბილისის დინამო – გაგრა 2:1. გოლები სტუმრებს სხირტლაძემ და იმრანმა გაუტანეს. ასე რომ, **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი მე-19 გახდა ქვეყნის ჩემპიონი. მან 3 ქულით გაუსწრო შარშანდელ გვირგვინოსანს ბათუმს, ხოლო მესამე ადგილი გორის დილამ დაიკავა. საუკეთესო ბომბარდირი 19 გოლით ზღვისპირელთა სნაიპერი **ფლამარიონი** გახდა. დღეს აჭარაბეთ არენაზე 19 საათზე დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალია: ტორპედო – ლოკომოტივი2 (ლიგა4).

ბრძოლა ნესების გარეშე

რომან დოლიძემ პროფესიულ ოქტაგონზე გამართული მორიგი ბრძოლა ელიტური ათეულის მე-8 ნომერს ჯეკ ჰერმანსონს ტექნიკური ნოკაუტით მე-2 რაუნდში მოუგო, რა დროსაც მეტოქეს ფეხებით ფეხი დაუჭირა და მტკივნეული ოლეთით აიძულა წინააღმდეგობა შეეწყვიტა.

ძიუდო

უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ, რომელმაც ამას წინათ გამართულ ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე **გურამ თუშიშვილს** ტედი რინერთან მოპოვებული ისტორიული გამარჯვება გაუუქმა და მიზეზად მსაჯის მიერ ვაზარის შეცდომით მინიჭება დაასახელა. ბუნებრივია, ჯოხი რეფერიზე გადატყდა, მაგრამ თუ მართლაც იგია დამნაშავე, რატომ დატოვეს ძალაში გუნდური მეოთხედფინალის შედეგი მასპინძლებსა და პარი სენ-ჟერმენს შორის? – დაგებადებათ კითხვა. პასუხი ბანალურია – იქ, ზემოთ ეტყობა, ჯერ კიდევ დაბალ ღობედ მივაჩნივართ.

◎ ტურდე ფრანსი

ოლიმპიადის გამო

1905 წლის შემდეგ პირველად ტურ დე ფრანსის ველომარათონი 2024 წელს პარიზში არ დასრულდება. ამის მიზეზი ოლიმპიური თამაშებია, რომელსაც საფრანგეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. დიდი ველორბოლის სააღლუმე, ბოლო ეტაპს ქალაქი ნიცა უმასპინძლებს.

ტურის განრიგი ერთი კვირით გადასწიეს, რათა ოლიმპიური თამაშების საგზაო ველორბოლებს არ დამთხვეოდა. მაგრამ ამის მიუხედავად ის 21 ივლისს უნდა დასრულდეს, ოლიმპიადის გახსნის ცერემონიამდე ხუთი დღით ადრე. ნიცაში ტურ დე ფრანსის ეტაპი სულ 37-ჯერ არის გამართული. ამასთან, ამ ხმელთაშუაზღვისპირა ქალაქში რბოლა ორჯერ (1981 და 2020 წლებში) დაიწყო.

„ნიცა ქალაქია, რომელიც ბრწყინავს, ის მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ეს ლამაზი ადგილია, ახლოსაა მთები. ქალაქში განსაკუთრებული ატმოსფერო და შესანიშნავი ტრასაა“, – ამბობს ტურის დირექტორი **კრისტიან პრუდომი.**

სავარაუდოდ, არ იქნება სააღლუმე ეტაპი. ამის ნაცვლად მარათონი დროზე რბოლით დასრულდება, რომელზეც ალბათ გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვევა. ბოლოს დროზე რბოლით ტური 1989 წელს დასრულდა და მაშინ ამერიკელმა გრეგ ლემონდმა გაიმარჯვა, რომელმაც სწორედ დროზე რბოლის მოგების შემდეგ რვა წამით გაასწრო ფრანგ ლორან ფინიონს.

წინასწარი ვარაუდით, 2024 წლის ტური ფლორენციაში დაიწყება და პირველ სამ ეტაპს იტალია უმასპინძლებს, თუმცა საბოლოო მარშრუტი და განრიგი ჯერ დამტკიცებული არ არის.

◎ ვარსკვლავი

ნადალი: ჩემი ცხოვრების ნაწილი ფედერერთან დარჩა

რაფაელ ნადალი ამბობს, რომ თავისი ცხოვრების ნაწილი როჯერ ფედერერთან დარჩა, როცა მისმა დიდმა მეტოქემ და მეგობარმა ჩოგბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. შვეიცარიელმა თავისი ბოლო შეხვედრა ლეიერის თასზე, ნადალთან წყვილში ითამაშა.

ამ ორ ჩოგბურთელს ერთად დიდი სლემის ერთეულთა 42 ტიტული აქვს მოპოვებული.

„პირველნება, ვისაც ვაღიარებდი, ვინც ჩემი მეტოქე იყო და ვისთან ერთადაც ბევრი სიხარული განვიცადე, როგორც კორტზე, ასევე მის მიღმა, წავიდა. მერე დგება მომენტი, როცა ეს ყველაფერი წარსულში რჩება. და ჩემი ცხოვრების ნაწილი მასთან დარჩა, როცა ის ჩოგბურთიდან წავიდა. ძალიან ემოციური იყო, გეთქვა მშვიდობით ადამიანისთვის, ვინც ჩვენი სპორტისთვის ასეთი მნიშვნელოვანი იყო“, – არგენტინაში, საჩვენებელი შეხვედრის შემდეგ განაცხადა ნადალმა.

ბოლო ორ ათწლეულში ეს ორი ჩოგბურთელი ორმოცჯერ შეხვდა ერთმანეთს. აქედან ესპანელს 24 აქვს მოგებული, 16 კი დათმო.

ბოლო წლებში ნადალს ტრავმები ხშირად აწუხებს, რის გამოც მისი სპორტში დარჩენაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამის მიუხედავად, გასულ სეზონში დიდი სლემის ორი ტიტული მაინც მოიპოვა – ჯერ ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, შემდეგ კი როლან გაროსი. არადა, პარიზში თამაშისას, მარცხენა ფეხის ტრავმის გამო, ტკივილგამაყუჩებლის ინექციები სჭირდებოდა.

ნადალი თავის წასვლაზე კონკრეტულს ჯერ არაფერს ამბობს: **„ჩემი დრო მოვა, როცა მოვა. ახლავე მზად ვარ ჩოგბურთის მიღმა სხვა ცხოვრების დასაწყებად, არ მგონია, ეს ჩემთვის პრობლემა იყოს. ცვლილებებთან შეგუება არ გამიჭირდება. ჩემს ცხოვრებაში არის ისეთი რამეებიც, რაც ჩოგბურთზე მეტია“.**

ნადალი საჩვენებელ ტურს მართავს სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში, სადაც მისი პარტნიორი ნორვეგიელი კასპერ რუუდია.

2023 წლის ბიუჯეტი რეკორდულია!

რომელი მიმართულებებია ყველაზე პრიორიტეტული?

პარლამენტმა რეკორდული მოცულობის ბიუჯეტი დაამტკიცა. საქართველოს რეგიონში არსებული დაძაბულობის ფონზეც კი გაუჩნდა შესაძლებლობა დაფინანსება ყველა მიმართულებით გაზარდოს და მასშტაბური პროექტები განახორციელოს.

2023 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული ვერსიის მიხედვით, მთავრობის ხარჯები 726 მილიონი ლარით იზრდება და ის 21.9 მილიარდ ლარს მიაღწევს.

სამინისტროების მიხედვით, დაფინანსების ზრდა ასეთია:

ჯანდაცვის სამინისტრო — 6,858 მლრდ ლარი, ზრდა — 60 მლნ ლარი;

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო — 3,331 მლრდ ლარი, ზრდა — 355 მლნ ლარი;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო — 2,031 მლრდ ლარი, ზრდა — 52 მლნ ლარი;

თავდაცვის სამინისტრო — 1,260 მლრდ ლარი, ზრდა მეორე წარდგენასთან არ არის;

შინაგან საქმეთა სამინისტრო — 1,106 მლრდ ლარი, ზრდა მეორე წარდგენასთან 36 მლნ ლარი;

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 698 მლნ, ზრდა — 10 მლნ ლარი;

ეკონომიკის სამინისტრო — 558 მლნ, კლება — 96 მლნ ლარი;

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო — 431 მლნ, ზრდა — 30 მლნ ლარი;

იუსტიციის სამინისტრო — 392 მლნ, ზრდა — 23 მლნ ლარი;

საგარეო საქმეთა სამინისტრო — 186 მლნ, ზრდა — 3 მლნ ლარი;

ფინანსთა სამინისტრო — 106 მლნ, ზრდა — არ არის.

გარდა ამისა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 6,798 მლრდ ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ პირველად გეგმასთან შედარებით გაზრდილია 771.1მლნ ლარით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 1,978 მლრდ ლარით, აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია საჯარო სკოლების მასწავლებელთა დანამატის და მანდატურთა ანაზღაურების ზრდა 125 ლარით, ხოლო ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ხელფასების ზრდა 10%-ით;

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 2,975 მლრდ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებულია 1,543 მლრდ ლარი, გრანტებში გათვალისწინებულია 13.9 მლნ ლარამდე, კრედიტებში გათვალისწინებულია 1,418 მლრდ ლარამდე.

ექსპერტი **ანდრია გვიდიანი** რეკორდული მოცულობის ბიუჯეტის პარამეტრებს მხარს უჭერს. მისი აზრით, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მთავრობას ყურადღების მიღმა არ დარჩენია ერთი შეხედვით, ნაკლებად პრიორიტეტული მიმართულებებიც.

„მომავალი წლის ბიუჯეტში გაზრდილი შემოსავლების ფონზე, გარდა სხვა საკითხებისა, როგორიც არის სოციალური მიმართულებები და გაზრდილი ინფრასტრუქტურული ხარჯები, გაზრდილი ხელფასები, მათ შორის, პოლიციელებისთვის, ჯარისკაცებისთვის, მასწავლებლებისთვის და ა.შ. ამ უმნიშვნელოვანესი და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პროექტების და ინიციატივების გარდა, შესაძლებლობა გაჩნდა, რომ ტურიზმის სექტორის დაფინანსებაც გაზრდილიყო, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენ მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველოში ტურისტული ინფრასტრუქტურა იყოს იმდაგვარად განვითარებული, რომ უცხოელი ტურისტებისთვის საქართველოში ჩამოსვლა გახდეს უფრო მეტად კომფორტული, შესაბამისად, ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც ამ მიზანს ემსახურება, არის, რა თქმა უნდა, მისასალმებელი“, — აცხადებს ანდრია გვიდიანი.

* * *

გაზრდილ ბიუჯეტზე საუბრობს ეკონომიკის ექსპერტი **ვახტანგ ჭარაიაც**, რომლის შეფასებითაც 22-მილიარდიანი ბიუჯეტი კარგ შესაძლებლობებს იძლევა საიმისოდ, რომ მოსახლეობა იყოს უფრო კმაყოფილი, ვიდრე წინა წლებში.

„საქართველოს ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა მისასალმებელია. ყველაფერთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მომდევნო წელს დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ასევე საგარეო ვალის მომსახურების კუთხით მნიშვნელოვანი თანხების გადასროლა, რომელიც ვალდებულებებს შეგვიმცირებს და მოიყვანს მას საავალუტო ფონდის სტანდარტებთან შესაბამისობაში. ბიუჯეტის ზრდა კარგ შესაძლებლობებს გვაძლევს, რათა მაკროპარამეტრები მოწესრიგდეს და ასევე სხვადასხვა კონკრეტული პროექტები დაფინანსდეს, რათა საზოგადოება იყოს უფრო კმაყოფილი“, — განაცხადა ჭარაიამ.

ბექა დანელია

გერმანიის მთავრობა 55 მილიონი ევროთი ეხმარება ბათუმს!

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი 2022 წლის 7 დეკემბერს საქართველოს მთავრობასთან, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხელს მოაწერს დაფინანსების შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს 55 მილიონი ევროს გამოყოფას ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტის მე-5 ფაზისათვის.

პროექტის ფარგლებში 16 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბათუმში წყლის თანამედროვე ინფრასტრუქტურა ვითარდებოდა, რისთვისაც დღემდე დაახლოებით 138 მილიონი ევროა გამოყოფილი. შედეგად 200.000-ზე მეტ ადამიანს, რომლებსაც ადრე დღეში მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში ჰქონდათ წვდომა სასმელ წყალზე, ახლა ჰიგიენურად უსაფრთხო სასმელი წყალი უწყვეტად მიეწოდება. თანამედროვე წყალარინების ქსელისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის შედეგად კანალიზაციის წყლები პროფესიონალურად გაედინება და იწმინდება. ასევე ახალი სანიაღვრე სისტემისა და წვიმის წყლის სატუმბი სადგურის წყალობით საგრძნობლად შემცირდა ქალაქის ცენტრის დატბორვის საფრთხე. სანაპიროსთან დელფინებიც კი გამოჩნდნენ, რაც წყლის ხარისხის გაუმჯობესებაზე მეტყველებს.

საქართველოში სამხედრო ტიპის მუზეუმი შეიქმნება

კულტურის კომიტეტის სხდომაზე „მუზეუმების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება მესამე მოსმენით განიხილეს, — ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

როგორც კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ და კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა, ელისო ბოლქვაძემ განმარტა, კანონპროექტის მიღების შემდგომ, შესაძლებელი იქნება სამხედრო ტიპის მუზეუმის შექმნა.

„კანონპროექტში სამხედრო მუზეუმი განიმარტება, როგორც ღია სივრცეში ან დახურულ შენობაში განთავსებული მუზეუმი, სადაც დაცულია საქართველოს თავდაცვის ძალების და ქვეყნის სამხედრო წარსულის ისტორიული და ტექნიკური განვითარების ამსახველი მნიშვნელოვანი მასალები, სამხედრო ტექნიკის ნიმუშები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები“, — განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

ბათუმში ავარიული სახლების მესაკუთრეთა 688 ბინა აუშენდებათ!

სახელმწიფო პროგრამა „ბათუმი ავარიული სახლების“ ფარგლებში დამატებით 3 მისამართზე ახალი კომპლექსი აშენდება და ბინა ავარიულ სახლებში მცხოვრებ 688 ოჯახს გადაეცემა. ბინები ჩაბარდება სრული რემონტით.

კომპლექსის საერთო სამშენებლო ფართობი 53 ათას კვ. მეტრს მოიცავს, სადაც საცხოვრებელი შენობების გარდა განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, სპორტული მოედნები და ტრენაჟორები, მოეწყობა მწვანე სივრცეები, საპარკე ინვენტარი, განათება და სანიაღვრე სისტემები. ბათუმის მერიამ შესაბამისი სამშენებლო ტენდერი უკვე გამოაცხადა შემდეგ 3 მისამართზე:

კახაბრის №30, ხიმშიაშვილის №94-96, ე.წ. „შანხაი“-ის დასახლება — ა. ჩხაიძის ქ. №7-ში საცხოვრებელ კომპლექსში გათვალისწინებულია კომერციული ფართების მოწყობა, რომელიც მერიის ბალანსზე იქნება. ბათუმში 3000-ზე მეტი ოჯახი ავარიულ პირობებში ცხოვრობს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ყველა ოჯახი, ეტაპობრივად უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთო საცხოვრისით.

კახა კალაძემ რომის მეტროპოლიტენის მშენებარე სადგური - PORTA METRONIA დაათვალიერა

რომში სამუშაო ვიზიტით მყოფი თბილისის მერი, კახა კალაძე გუშინ რომის მეტროპოლიტენის მესამე ხაზის მშენებარე სადგურს — Porta Metronia-ს ეწვია, სადაც რომის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის დეტალებს და მიმდინარე სამუშაოების სპეციფიკას გაეცნო. ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

„რომის მეტროპოლიტენის მესამე, ე.წ. მწვანე ხაზი ქალაქს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით კვეთს და უნიკალური მახასიათებლები აქვს, რადგან მისი მარშრუტი რომის ისტორიული და კულტურული ღირებულებებით გამორჩეულ არეალზე გადის.

მშენებარე Porta Metronia, მოქმედ San Giovanni (სან ჯოვანი)-სთან ერთად, ე.წ. არქეოლოგიური სადგურების პირველ მაგალითს წარმოადგენს, სადაც გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები იქნება წარმოდგენილი და მოქალაქეებს, მეტროთი გადაადგილებისას, ერთგვარად, დროში მოგზაურობის შესაძლებლობა ექნებათ. რომის მეტროპოლიტენის მესამე ხაზის მშენებლობა 2006 წელს დაიწყო და კიდევ რამდენიმე წელი გაგრძელდება. პროექტი 25,5 კმ-ზეა გათვლილი და მისი ღირებულება 3 მილიარდ 28 მილიონი ევროა“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში. კახა კალაძესთან ერთად რომის მშენებარე მეტროსადგური მერის მოადგილემ ანდრია ბასილაიამ და იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, კონსტანტინე სურგულაძემ დაათვალიერეს.

სს „თბილისის მონოლითმშენი“

აცხადებს, რომ 2022 წლის 27 დეკემბერს 17 საათზე ქ. თბილისში, წერეთლის გამზირის №57-ში გაიმართება სს-ის საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სს-ის 2021 წლის შედეგები;
2. სხვადასხვა.

სს „თბილისის მონოლითმშენის“ ადმინისტრაცია

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲝᲡ-ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲞᲝᲚᲝᲜ ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲡ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ — „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲝᲡ-ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ — ᲬᲐᲠᲓᲒᲘᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, Ს�პᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ �თᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝ.



მათივე ინფორმაციით, „ქართული შრიფტი გრაფიკოს- დიზაინერებისთვის“ გამოიცა კულტურის სამინისტროს კონკურსის — „სახელოვნებო საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო წიგნადი ფონდის განახლება (თარგმნა ან/და გამოცემა)“ — ფარგლებში. წიგნის ავტორია ნინო ჯიშკარიანი, თანაავტორი — მერაბ გეწაძე.

„ქართული შრიფტი გრაფიკოს-დიზაინერებისთვის“ ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) პრაქტიკული სახელმძღვანელოა, რომელიც განკუთვნილია ქართული ასონიშნების მოხაზულობით დაინტერესებული ქართველი და უცხოელი გრაფიკოს-დიზაინერებისთვის. წიგნი შედგება ხუთი ნაწილისგან. შესავალი გვაწვდის ინფორმაციას ქართული შრიფტის განვითარების ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ; წიგნის ძირითადი ნაწილი — პრაქტიკული სახელმძღვანელო გრაფიკოს-დიზაინერებისთვის, ეხება ქართული ასო-ნიშნების აგებისა და სიბრტყეზე განთავსების წესებს; საგანმანათლებლო ტექსტთან ერთად, თვალსაჩინოებისთვის, მესამე ნაწილში წარმოდგენილია ქართულ შრიფტზე სხვადასხვა დროს მომუშავე პროფესიონალი მხატვრების მიერ ხელით შექმნილი შრიფტები; მეოთხე ნაწილში თანამედროვე, კომპიუტერული ფონტების ნიმუშებია ანოტაციებით, ხოლო მეხუთე ნაწილი ეთმობა ქართულ შრიფტს ურბანულ სივრცეში.

ᲜᲘᲙᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔᲡ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲕᲐᲡᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ

ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ „ᲘᲛᲔᲓᲘᲡ“ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲡ, �თᲔᲐᲢᲠᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲜᲘᲙᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔᲡ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲕᲐᲡᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ �თᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲐᲛᲐᲕᲔ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ 55 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲨᲘ, ᲒᲘᲒᲐ ᲚᲝᲠᲝᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲖᲔ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲞᲠᲘᲜᲪᲛᲐ ᲡᲞᲐᲘᲓᲔᲠᲛᲔᲜᲘᲡ ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲘ ᲛᲝᲘᲠᲒᲝ

ᲞᲠᲘᲜᲪᲛᲐ ᲰᲐᲠᲘᲛ ᲡᲞᲐᲘᲓᲔᲠᲛᲔᲜᲘᲡ ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲘ ᲛᲝᲘᲠᲒᲝ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲓᲐᲚᲣᲞᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲩᲐᲬᲔᲠᲐ.

ᲕᲘᲓᲔᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ Scotty's Little Soldiers ᲩᲐᲘᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲔᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲡ. ᲠᲒᲝᲚᲘ 100-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲑᲐᲕᲨᲕᲡ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲡ.

„ᲨᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲓᲠᲝᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲘᲐᲜ. ᲔᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘᲐ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ, ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲠᲝᲛ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲔᲠᲗᲝᲜᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲡᲣᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲝᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲓ ᲜᲣ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ“, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲕᲘᲓᲔᲝᲨᲘ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲛᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲒᲝᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲐᲛᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲐᲛᲮᲘᲚᲐ.

ᲙᲣᲚᲘᲜᲐᲠᲘᲣᲚᲘ „ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ“

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘ �თᲘᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲑᲝᲠᲨᲩᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ ᲙᲔᲠᲫᲐᲓ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ „ᲐᲛᲐᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ“.

ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲠᲨᲩᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲬᲕᲜᲘᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ. ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲛᲐ �თᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲗ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲛᲐ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲛᲐ ᲛᲘᲚᲐ ᲙᲣᲜᲘᲡᲛᲐᲪ ᲙᲘ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲠᲨᲩᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲐ.

„ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲑᲐᲒᲔᲢᲘ — ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲑᲝᲠᲨᲩᲘ ᲙᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛᲐᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲘ. �გᲣᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ �გᲣᲚᲨᲘ ᲑᲝᲠᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲬᲕᲜᲘᲐᲜᲘᲐ ᲭᲐᲠᲑᲚᲘᲗ. ᲐᲡᲔ ᲣᲬᲝᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲗᲐ ᲛᲘᲚᲐ ᲙᲣᲜᲘᲡᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲔᲣᲚᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲨᲢᲝᲜ ᲙᲐᲢᲩᲔᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ 3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲬᲕᲜᲘᲐᲜᲘᲗ ᲕᲘᲓᲔᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ თვის შემდეგ, ᲙᲣᲜᲘᲡᲛᲐ ᲐᲠᲐᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲝᲠᲨᲩᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ „ᲕᲐᲠᲔᲜᲘᲙᲘᲡᲐᲪ“ ᲓᲐ ᲞᲔᲚᲛᲔᲜᲘᲡᲐᲪ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲣᲬᲝᲓᲐ“, — ᲬᲔᲠᲡ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ ᲢᲔᲚᲔ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲮᲖᲔ.

ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

24 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲓᲐᲜ 4 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲭᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, 6702 ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ.

ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘᲐ 10 479 ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ. ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ 424 ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲐ. ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ 162 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ 11 ᲑᲐᲕᲨᲕᲘ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓ�გᲔᲜᲐᲓ?

ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓ�გᲔᲜᲐᲓ, 500-600 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲔᲕᲠᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, — ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲐᲜᲐ ᲑᲘᲔᲠᲓᲔᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲔᲕᲠᲝ�კᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲗ, ᲔᲡ ᲪᲘᲤᲠᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ 350 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲔᲕᲠᲝᲡ ᲨᲔᲐᲓ�გᲔᲜᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲗᲕᲔᲔᲑᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ, ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓ�გᲔᲜᲐᲓ „ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ“ ᲛᲡ�გᲐᲕᲡᲘ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ, ᲘᲡᲔ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ.

ᲝᲛᲛᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲥᲪᲘᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲝᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲑᲝᲙᲕᲔᲠᲘ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐᲡ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ. ᲛᲐᲛᲠᲘ ᲑᲝᲙᲕᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ ᲢᲐᲠᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲓᲔᲓᲠᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ, ᲚᲔᲥᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲓᲐ 5 თვის ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲝᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲑᲝᲙᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲛᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ, ᲞᲝᲖᲜᲐᲜᲘᲡ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲨᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲔᲡ.

ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲑᲝᲙᲕᲠᲔᲑᲡ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲐ ᲛᲝᲣᲬᲘᲐᲗ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲘᲧᲕᲐᲜᲓᲜᲔᲜ.

„ᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲒᲐᲣᲫᲚᲔᲡ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲜᲔᲜ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲝᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲜᲔᲜ“, — ᲗᲥᲕᲐ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲛᲐ ᲛᲔᲠᲔᲓᲘᲗ ᲣᲘᲢᲜᲘᲛ.

ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐ — ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲠᲥᲕᲔᲨ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ 30 ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲘᲖᲜᲣᲚᲘ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲠᲥᲕᲔᲨ ᲛᲗᲔᲚ ᲔᲕᲠᲝ�პᲐᲨᲘ �მᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐ ᲒᲐᲓᲐᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ.

ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ, �გᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲔᲚᲔᲑᲘ. **„ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐ ᲨᲔᲤᲤᲣᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲣᲧᲐᲝᲡ ᲧᲣᲗᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ“,** — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ. ᲠᲔᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲐᲚᲐ�გᲐᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ — �გᲠᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ, ᲙᲝᲠᲓᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲐᲨᲘ, ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 800,000 ᲔᲕᲠᲝ, ᲔᲥᲕᲡᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲓᲐ 2,500 ᲙᲐᲜᲐᲤᲘᲡ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17Ა
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ �გᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲡ „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
ᲢᲔᲚ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932
ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲕᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲮᲕᲐᲚ, 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.6987; ᲔᲕᲠᲝ - 2.8431;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.3048;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.3353; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1452;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1